



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბოღი ბუქ-
უბი სიფყავა, ფყუილუბით და ჭბბბბით ბუბ-
ბის გაცანა ყუულა უჯბბბბბბბბ უსბბბბბბბბ.


გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი-ორშაბათი, 30 მარტი-1 აპრილი. 2019 წ. №63-64 (8729-8730) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru ფასი 60 თეთრი

ზვიად გამსახურდია დამოუკიდებლობას შეენიჭა და... გაიმარჯვა!

**პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე,
მესამეიანი ბიძინა ივანიშვილი
ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავს ასე გამოეხატა:**



31 მარტს ზვიად გამსახურდიას ოთხმოცი წელი შეუსრულდებოდა. ეს დღე ბევრ მივიწყებულ ტკივილს გაგვიღვიძებს, ბევრ რამეს გაგვახსენებს და ჩვენ მართლაც გვჭირდება სერიოზული დაფიქრება და უახლოესი წარსულის სწორი ანალიზი. იმ უახლოესი წარსულის, რომელიც სწორედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ტრაგიკული ისტორიით იწყება. როგორ მოხდა, რომ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სამშობლოს თავისუფლებისთვის იბრძოდა, რომელმაც რეალობად აქცია მრავალი თაობის ოცნება და გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, ცოტა ხანში სწორედ ამ დამოუკიდებელ საქართველოში ტრაგიკულად დაიღუპა ისევ საკუთარი


თანამემამულეებისგან დაუნდობლად დევნილი. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას – ის, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაღუპვის გარემოებები დღემდე გამოუძიებელია, არის ჩვენი ქვეყნის დიდი სირცხვილი. ეს საქმე აუცილებლად და დროულად უნდა მივიდეს ბოლომდე და ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. როგორ და რატომ მოხდა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარიჟრაჟზე, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა ერთიანობა, ამ დროს ჩვენ ერთმანეთს დავერიეთ და ქვეყანა დავანგრეთ. არ იქნებოდა სწორი გარეშე მტრისთვის ყველაფრის დაბრალება, მტერი ყოველთვის ისე იქცევა, როგორც მტერი უნდა იქცეოდეს, ჩვენ ჩვენი შეცდომები უნდა გავაანალიზოთ და ის მი-

ზეზები მოვძებნოთ, რაც ამ შეცდომების დაშვებას გვაიძულებს. სიმბოლურია, რომ ზვიადის დაბადების დღიდან რამდენსამე დღეში ოცდაათი წელი სრულდება, რაც ჩვენი გმირები თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირნენ და ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ ამ მოვლენის მნიშვნელობის შესახებ. 31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა, სულ მალე ოთხმოცი წლის გასდება მერაბ კოსტავას, სწორედ ზვიადის და მერაბის სახელებს უკავშირდება ტრაგიკული ცხრა აპრილის გამარჯვების დღედ გარდაქმნა და მე-

ორე რესპუბლიკის დაბადების დღედ გამოცხადება. ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ ჩვენს გმირებს და ამასთანავე სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ წარსულიდან, რათა შევძლოთ, პირნათლად გავუწინოროთ თვალი მომავალს – 31 მარტი არის დაბადების დღე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, რომელიც შეეწირა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას და რომლის საქმეცაა გაიმარჯვა!

ბიძინა ივანიშვილი

მაგრამ ის გაინსპირებული იყო!..



80
გვეგანებოდნენ ძალნი და ღორნი,
შემუსვრა სურდათ ელვარე ჭაღით,
მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის.
ზვიად გამსახურდია

საოცარი ბედი დაჰყვა საქართველოს პირველ პრეზიდენტს. როცა ეროვნული მოძრაობის მძლავრი ტალღა ააზვირთა მერაბ კოსტავასთან ერთად, სუკის აგენტობა და ფსიქიკური აშლილობა დასწამეს; როცა ამერიკელებმა „დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“ – დააბრალეს, თავისივე გამოჩეკილი ბარტყები აუშხედრეს, სახელმწიფო გადატრიალება მოუწყვეს და ჯერ დევნილი პრეზიდენტის სვედრი არგუნეს, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სამეგრელოს ტყეებში მომთაბარეობისათვის განირჩეს, ბოლოს კი, ორგულეობით გარშემორტყმულს, სიცოცხლე მოუსწრაფეს; დამოუკიდებლობის სიმბოლოს მოკვდინება მისი სულელთში გადანაცვლების შემდეგაც გრძელდება – ჯერ იყო და ხიბულა-

ჯიხაშკარში მისი წმინდა ცხედრის რამდენჯერმე ჩასვენება-ამოსვენების შემდეგ, როგორც იქნა, კუთვნილ მთაწმინდის მიწას კი მიაბარეს, მაგრამ დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტისთვის დამსახურებული სახელის მინიჭება რატომაც გადაიფიქრეს. თითქოს ნავსი პეკინის ქუჩასთან დაკავშირებით გატყდა, თუმცა, ხომ იცით, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის – მალევე მას ისევ ძველი სახელი დაუბრუნეს; და მთავარი: მიუხედავად არაერთი სახელმწიფო კომისიის შექმნისა, დღემდე არ დასრულებულა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება, ყველაფერს რომ თავისი სახელი უნდა დაარქვას. მაგრამ ის მაინც პირველი იყო და პირველად დარჩება!
ბია პლატონიშვილი

**„ბირჩი“ საშობლოს
დასვის წინააღმდეგ**
ვალდებულა
თუ პროფანაცია? **5**

**მინილ სააკაშვილი:
ეს ჭკუა რომ
მქონოდა, რასა-
კვირველია, ასე არ
ვიხეტილაფდი ბარკ-ბარკ!**

**როგორ
იქცა
ქართველი
გენერალი
თურქად!**

თეძაძის წყალსაცავი 22 სოფელს მოემსახურება

საქართველოში, გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ, პირველი წყალსაცავის მასშტაბური მშენებლობა იწყება, — უმსხვილესი საინვესტიციო პროექტის პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განხილავს.

მთავრობის მეთაურმა თეძაძის წყალსაცავის პროექტის ისტორიული უნდა და აღნიშნა, რომ პროექტის მთავარი მიზანი ქართული სოფლის გაძლიერებაა.

ჩვენ ვინცებთ ძალიან მნიშვნელოვანი, მე ვიტყვი ისტორიული პროექტის განხორციელებას, რომლის მთავარი მიზანია ქართული სოფლის გაძლიერება, ვინაიდან ძლიერი ქართული სოფელი ნიშნავს ძლიერ ქარ-

თულ რეგიონებს და ძლიერი რეგიონი ნიშნავს ძლიერ საქართველოს. ჩვენთვის ქართული სოფლის განვითარება იყო ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ძლიერი საირიგაციო სისტემების მშენებლობა. საქართველოში ფაქტობრივად ბოლო 50 წლის განმავლობაში არ აშენებულა ახალი წყალსაცავები. 2012 წელს საქართველოში საირიგაციო სისტემები განლაგებული იყო მხოლოდ 40 000 ჰექტარზე. ჩვენ შევძელით და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ეს ციფრი გავზარდეთ 110 000 ჰექტარამდე. სწორედ ჩვენი ოპონენტები ამბობენ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობას არ

აქვს პერსპექტივა. მე მიჩნდებოდა კითხვა: როგორ შეიძლება დარგს ჰქონდეს პერსპექტივა, როდესაც საირიგაციო სისტემებიც კი არ არსებობდა საქართველოში? — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მდინარე თეძამზე აშენდება წყალსაცავი, რომელიც წელით 10 000 მოქალაქეს მოამარაგებს და შესაძლებელი გახდება 7 000 ჰექტარის მოცულობის მიწის მორწყვა, რომელიც დღეს ფაქტობრივად გამოუყენებელია.

„ეს არის მართლაც უნიკალური პროექტი, რომელიც ახალ სიცოცხლეს შემოიტანს შიდა ქართულში და კონკრეტულად, კასპის რაიონში. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის პირველ ადგილზეა წყალი და წყალთან დაკავშირებული რესურსები. შესაბამისად, წყლის რესურსების გამოყენებას გადამწყვეტი როლი აქვს იმაში, თუ რამდენად წარმატებული იქნება ჩვენი ეროვნული ეკონომიკა“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურის თქმით, წყალსაცავით კასპის მუნიციპალიტეტის 22 სოფელი და 9 700 მოქალაქე ისარგებლებს. პროექტში 71 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება და 500 ადგილობრივი დასაქმდება. თეძაძის წყალსაცავიდან, სასმელი წყლით 5 სოფელი მომარაგდება, კაშხალზე მოწყობა პიდროელექტროსადგური. წყალსაცავის პროექტი შედგენილია გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით. მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება და 47 თვეში დასრულდება.



უფას სტანდარტების სტადიონი კასპში

სამტკობრიის ბოლოს კასპში უფას მორე კატეგორიის სტანდარტების სტადიონი დაიწყებს ფუნქციონირებას, — სამშენებლო სამუშაოები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად დაათვალიერა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სპორტის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით ახალგაზრდების წახალისება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, შესაბამისად მსგავსი

პროექტების განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება.

კასპის უფას მორე კატეგორიის სტანდარტების სტადიონი, ხელოვნურსაფარიანი მოედნით, 520 მაყურებელზე იქნება გათვლილი. ამასთან ერთად, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ცენტრალურ საფეხბურთო მოედანს, საფეხბურთო სკოლას და სავარჯიშო მოედანს. პროექტის ღირებულება 2,5 მილიონი ლარია. დარბაზები და ათვალიერა და სპორტსმენებს გაესაუბრა.

ტექნოპარკისა და პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა ბრძელდება

კასპში ტექნოპარკის მშენებლობა იწყება, — პროექტს, რომლის ღირებულება 2,2 მილიონი ლარია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძემ გაეცნო.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობას და მსგავსი პროექტების ქვეყნის მასშტაბით განხორციელების მნიშვნელობას.

ტექნოპარკის მშენებლობა, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს, წლის ბოლოს დასრულდება. პროექტის ფარგლებში აშენდება ორსართულიანი ნაგებობა, სადაც განთავსდება სამუშაო და სასწავლო ოთახები, ე. წ. ფაბ-ლაბი, საკონფერენციო და დამხმარე სათავსოები, სამუშაო სივრცე. ასევე იგეგმება ლია ტერასის მოწყობა სხვადასხვა აქტივობისთვის. პროექტში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირ-

თა საქტირობები.

მთავრობის მეთაურმა კასპის პროფესიული სასწავლებლის სამშენებლო სამუშაოებზე დაათვალიერა. 200 სტუდენტზე გათვლილი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა კასპში წლის ბოლოს დასრულდება. პროექტის ღირებულება დაახლოებით 3,9 მილიონი ლარია.

სასწავლებელთან ერთად მოეწყობა სპორტული ინფრასტრუქტურა და ეზო, დაირგვება ანარგავები.

თორნიკე რიჟვაძე: დეპარტამენტსა და მუსლიმ-მეზღაპრებს ჩვენ ვაასუსობთ საქმით

გშშში თორნიკე რიჟვაძემ დადებითად შეაფასა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ვიზიტი რეგიონში და ბათუმის დრამატული თეატრის რეპილიტაციისთვის ფონდ „ქართუს“ მადლობა გადაუხადა. მთავრობის თავმჯდომარემ ისაუბრა იმ მნიშვნელოვან ნახევარმილიარდიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციაზე, რომელიც ქობულეთში სორციელდება.

„ეს არის უმსხვილესი ევროპული საინვესტიციო პროექტი აჭარის ისტორიაში და ადგილობრივი ეკონომიკის აღმშენებლობის ახალი ტალღა. იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ქმნი-



ან გარკვეულ მითებს, რომ აჭარა კარგავს მიზიდულობას, ჩვენ ვპასუხობთ საქმით, თუ როგორ შეიძლება წინა ხელისუფლების დროს ერთ ლარად გაყიდული ქონების 6 მილიონ ლარად გაყიდვა. ჩვენი ხელისუფლების მთავარი წყარო არის ხალხი და ანგარიშგაღებულნი ვართ მათ წინაშე. გვაქვს ძალიან ზუსტი გეგმა და ხედვა, თუ როგორ უნდა შევქოლოთ ორი წლის განმავლობაში ამ ინვესტიციების გაოთხმაგება და რეგიონში შევქმნათ არანაკლებ 6 000 სამუშაო ადგილი“.

შარხანდელი დემოკრატიული ნკვარამი

2018 წლის ბუნებრივი მატება 15.7 პროცენტით შეამცირდა!

2018 წლის ბუნებრივი მატება — სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის — წინა წელთან შედარებით 15.7 პროცენტით შემცირდა და 4 614 შეადგინა. სტატისტიკას „საქსტატი“ აქვეყნებს და აღნიშნავს, რომ 2018 წელს ბუნებრივი კლება დაფიქსირდა იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურჯისტის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონებში.

„საქსტატი“ ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 51 138 ბავშვი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 4 პროცენტით ნაკლებია. რაც შეეხება გარდაცვლილთა რიცხოვნობას, 2.7 პროცენტით შემცირდა და 46 524 ადამიანი შეადგინა.

სოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 4 პროცენტით შეამცირდა

2018 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 51 138 ბავშვი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 4 პროცენტით ნაკლებია. ინფორმაციას „საქსტატი“ აქვეყნებს.

„საქსტატის“ ინფორმაციით, დაბადებულთა შორის — 26 538 ბიჭი და 24 600 გოგოა. „სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით დარჩა უცვლელი და ყოველ 100 ცოცხლად დაბადებულ გოგოზე 107.9 ბიჭი მოდის“.

დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2018 წელს 2017 წელთან შედარებით 38.9 პროცენტთან 37.9 პროცენტამდე შემცირდა რიგით პირველი დაბადებულის წილი. მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი 22.6 პროცენტთან 23.4 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა.

2018 წელს სპარტივლოში 26 538 ბიჭი და 24 600 გოგო დაიბადა

2018 წელს საქართველოში 26 538 ბიჭი და 24 600 გოგო დაიბადა. „საქსტატის“ ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა, 51 138 ბავშვი, წინა წელთან შედარებით 4 პროცენტით ნაკლებია.

„სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით დარჩა უცვლელი და ყოველ 100 ცოცხლად დაბადებულ გოგოზე 107.9 ბიჭი მოდის“. დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2018 წელს 2017 წელთან შედარებით 38.9 პროცენტთან 37.9 პროცენტამდე შემცირდა რიგით პირველი დაბადებულის წილი. მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი 22.6 პროცენტთან 23.4 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა. 2018 წელს ყველაზე მეტი ბავშვი დაიბადა თბილისში — 16 161 ბავშვი, ყველაზე ცოტა — რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში — 328 ბავშვი.

2018 წელს 416 ჩვილი გარდაიცვალა, მოკვდაობის კოეფიციენტი 1.5 პუნქტით შეამცირდა

2018 წელს 416 ჩვილი (1 წლამდე ასაკის ბავშვი) გარდაიცვალა. „საქსტატის“ ინფორმაციით, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი, 1 წლამდე გარდაცვლილთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე, წინა წელთან შედარებით 1.5 პუნქტით შემცირდა და 8.1 პროცენტით შეადგინა.

ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის ანალოგიურად, 5 წლამდე გარდაცვლილთა კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 2017 წელთან შედარებით 1.4 პუნქტით შემცირდა და 9.8 პროცენტით შეადგინა. 2018 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობა 2017 წელთან შედარებით 2.7 პროცენტით შემცირდა და 46 524 ადამიანი შეადგინა. სტატისტიკა არ მოიცავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

2018 წელს 2 პროცენტით ნაკლები, 23 202 ქორწინება დაარსდა

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2018 წელს რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 2.0 პროცენტით შემცირდა და 23 202 შეადგინა. 2018 წელს პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისთვის 27.7, ხოლო მამაკაცებისთვის 30.4 წელი იყო. „საქსტატი“ აღნიშნავს, რომ აღნიშნული რაოდენობა არ მოიცავს იმ ქორწინებებს, როდესაც ორივე პირი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არ არის საქართველოს მუდმივი მოსახლე.

2018 წელს 10 288 წყვილი განქორწინდა

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2018 წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 10 288 შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.6 პროცენტით გაიზარდა. „საქსტატის“ ინფორმაციით, 2018 წელს რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 2.0 პროცენტით შემცირდა და 23 202 შეადგინა. 2018 წელს პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისთვის 27.7, ხოლო მამაკაცებისთვის 30.4 წელი იყო.

ვიხილ სააკაშვილი:

ეს ჭკუა რომ გეონოდა, რასაკვირველია, ასე არ ვიხეობილაბდი ბარე-ბარე!



საბარტოველოდან გაძევებული უკან რომ ვიყურები, სხვისი თქმა რად მინდა, თავადაც კარგად ვაცნობიერებ, რა და რამდენი შეცდომა მომივიდა, მერე და მერე მიუტყვევებელ ცოდვად ქვეული ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ნამდვილად სწორია ის აზრი, ჯერ კიდევ ძველი ხალხის თქმული, რომ ადამიანი თუ არ იცვლება, კვდება. აი, ამ თვალსაზრისით, მთელ ჩემს წარსულ ცხოვრებას, რა თქმა უნდა, უწინარესად ჩემი პრეზიდენტობის ცხრანობიან მონაკვეთს ვგულისხმობ, გარე-გარე შეტიალის წლებში არაერთხელ გადავხედე დაუნდობლად და უნდა გითხრათ, რომ მე ის მიხილ სააკაშვილი აღარ ვარ, რომელიც არც მაშინ მოსწონდა ბევრს და ახლა კიდევ უფრო მეტს არ მოსწონს, რაც ბევრწლიად ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ ჩემი და ჩემი პარტიის ყოველდღიური განქიქების შედეგია. ეს კი, არა მარტო ჩვენ, არამედ ქვეყანასაც აზიანებს.

კი ბატონო, იქნებ მართლა ბევრი დავაშავეთ, მაგრამ არცთუ ცოტა რამ გავაკეთეთ კიდევ ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამას, საბედნიეროდ, ხალხიც ხედავს, რომლებსაც ოცნებულეები უსინდისოდ აშინებენ, ნაციონალებს თუ დაუჭერთ მხარს, მობრუნდებიან და მერე ნახეთ, რა დღეშიც ჩაცვივდებითო. გაერთიანებულ ოპოზიციას, რომლის მთავარ ბირთვსაც სწორედ ნაციონალები შეადგენენ, ცოტა მომხრე არა ჰყავს, რაც საპრეზიდენტო არჩევნებშიც ორივე მხარეს ცხადად დაგვანახა. ეს კი იმის უფლებას გვაძლევს, რომ 2020 წლის არჩევნებისთვის იმედიანად ვიბრძოდეთ.

სიყვარულს და ვერც სიკეთე სძლევს ყოველთვის ბოროტს. არადა, სწორედ ჩვენს შიშის პოლიტიკას მოჰყვა ჩვენივე სამარცხვინო მარცხი 2012 წლის არჩევნებში. ხალხის დაშინება, საერთოდ, და, მით უმეტეს, ისეთი ხალხისა, როგორიც ქართველები ვართ, შეუძლებელი რამ არის. ჩემი ერთ-ერთი ასეთი გამოუსწორებელი შეცდომა იყო სამართალდამცავი ორგანოებისადმი მოწოდება: „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ და პატიმართა მასშინდელი რაოდენობის გამო ახლა მერცხვინება და მერე როგორ! ცხადია, ისეთი მკაცრი

ფორმით არ უნდა შევხებოდით არც კერძო საკუთრებას, არ უნდა დაგვერბოდა „იმედი“, არც „რუსთავი-2“ არ უნდა წაგვეერთმია იმჟამინდელი მფლობელისთვის. ბევრი ბიზნესმენი სამართლიანად გვაკრიტიკებს, ნამდვილად არ ვექცევოდით ბიზნესს სწორად, ბექდვითი პრესა ხომ პირდაპირ გადავიმტერეთ, ნამდვილად არ უნდა გამოგვექცევიან ძალადობრივად ათობით გაზეთისა და ჟურნალის რედაქცია გამოცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან. ჩვენს რეფორმირებულ პოლიციას ნამდვილად არამც და არამც არ უნდა დაეხოცა ახალგაზრდები, თანაც ისეთი არაადამიანური სისასტიკით. მოკლედ, უნდა ვალიარო, რომ ცა ქუდად არ მიგვანდოდა და დედამინა ქალამნად, რა უცხოელი მასაჟისტის ჩამოყვანა და საზღვარგარეთ დასვენებები ამიტყდა, ახლა ვნანობ, მაგრამ რაღა დროსია! ეს ჭკუა რომ მქონოდა, რასაკ-

ვირველია, ასე გარე-გარე არ ვიხეობილაბდი!
ისიც უნდა ვთქვა, რომ ვერ მიხედედით ვერც სასამართლოს, მართლმსაჯულებას ნამდვილად ჩვენს ნებაზე ვმართავდით, ჩვენს ნება-სურვილს ემორჩილებოდნენ ჯარიც, პოლიციაც, რაც შეეხება 2008 წლის ომს, აღარ შემიძლია ამდენი მალვა და სიმართლისგან გაქცევა! საქართველო და ქართველი ხალხი არაფერ შუაშია. პირადად მე და ჩემი გუნდის ზედა ეშელონმა მხოლოდ და მხოლოდ პატრიოტული განზრახვით; საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების მიზნით, ავიღეთ იარაღი ხელში (როგორც რომ, 90-იან წლებში შევარდნაძის დროს მივაღვექით აფხაზეთს). ახლა რომ ვაანალიზებ, მგონი, ურიგო არ იქნება, თუ ბოდიშს მოვუხდით აფხაზეთსაც და ოსებსაც. მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ კეთილმეზობლური მოლაპარაკებით გამოვავლებთ პირში ჩალას იმპერიალისტურ რუსეთს, ოკუპანტ რუსეთს და, კერძოდ, ოკუპანტ პუტინს, რა ხანია, მიმტაცებლურად რომ უჭირავთ თვალს საქართველოზე.

პირადად ჩემი და გაერთიანებული ოპოზიციის უმთავრესი მიზანი დღეს სწორედ ის არის, თუ არჩევნებით ვერ შევძელით ხელისუფლებიდან „ოცნების“ ჩამოცილება. დადგენ და თვითონ იოცნებონ, ბატონო, ქართველ ხალხს აღარ უნდა ამდენი მეოცნებობა.

ჩვენი მიზანია აგრეთვე და იმიტომაც მოვდივართ ხელისუფლებაში, რომ რაც დავაშავეთ, დაშავებით კი უთუოდ ბევრი დავაშავებ, ყველაფერი უკლებლივ გამოვასწოროთ, კიდევ ერთხელ ბოდიშში მოვუხადოთ ქართველ ხალხს და მთელი სიცხადით ვაჩვენოთ, თუ როგორ უნდა სახელობო მართვა.
ერთი სიტყვით, ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მალე პოლიტიკურ აბანოში უნდა გამოჩნდეს, ვინ თეთრია და ვინ შავი.
ჩვენ მოვდივართ და გაერთიანებული ოპოზიციის ვერავითარი გაერთიანებული ფული და ძალა ვერ შეაჩერებს!

ფინისუმიდან. ჰოლანდია, 29 მარტი, 2019 წ.


რედაქციისგან:

ასეთ ავად ახირებულ ადამიანზე ხალხი ამბობს, ეგ ისეა ატეხილი აუცილებლად რაღაც უბედურებას მოიწვევსო. ისიც ხალხისავე ნათქვამია, რომ მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, ის კი ისევე ტყისკენ იყურებოდაო, ტყისკენ, სადაც თავის დროზე შეუჭმელი გემრიელი ლუკმა ელოდებოდა. შევიცვალეთო, ახლა არც მე აღარ ვარ ის და აღარც ჩემი პარტიაო. განა მგელი თუ ტურა შეიძლება რომ გალომდნენ ან გავეფხვდნენ? მაშინ ეს ჭკუა რომ მქონოდაო... ვითომ ალუა იყო და ახლა უკვე ნახევარ საუკუნეს გადაცილებულს, ჭკუა სასიკეთოდ შეეცვალა, ჭკუა ისწავლა?! თანაც მარტო თვითონ კი არა, თურმე ასევე შეცვლილან და ჭკუა უსწავლიათ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ათასი დანაშაულის ჩამდენ ნაციონალებსაც?! რომელთაც ერთი სული აქვთ, რაც შეიძლება მალე ავიდნენ ტახტზე და ვითომ შედარებით უფრო სუფთა წყლით დაინყონ საზოგადოების ჩარეცხვა!

გესმით, რა ხდება ხალხო განა ქვეყანას კიდევ აქვს იმის თავი, რომ ხან ერთი მოვიდეს შურისმაძიებლად და ხან მეორე?!
ანდა გაერთიანებულ ოპოზიციას შიშმა შემაველ პარტიებს ვითომ გვერდით ამოიყენებენ გამარჯვებული სააკაშვილი (გრიგოლ ვაშაძე მხოლოდ დროებითი ბუტაფორიაა!) და თვითონ მგლურად მადააღმრული ნაციონალური პარტია?! თქვენც არ მომიკვდით.
ნუთუ ვერ ატყობთ, რომ დრო პოლიტიკურად უკვე ქვეყნისთვის საშიშრად ცხელდება?! ერთნი თავს იკატუნებენ და ავად იმუქრებიან, მეორენი კი პოლიტიკურადვე ამოქნარებენ და იზმორებიან!
ალბათ, უკვე დროა, დაგვიანებული თუ არ არის, რომ გზა გადავუღოთ ბნელ ძალას, რომლის თითქმის ათწლიანი აშკარად ერთპიროვნული ბატონობის ყამს მხოლოდ ალვირახსნილი ბოროტება პარპაშებდა!


სეცხლსასროლი იარაღის ნაწილებით უკანონო პაჭრობა დროულად აღიკვეთა

საპარტოველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან.
შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საპაერო ტვირთების კონტროლის უწყებებთან ორგანიზაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების შიდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლობის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის ნაწილებით უკანონო ვაჭრობის ტრანსნაციონალური სქემა გამოვლინდა.
შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 15 მარტს აღნიშნული სქემის ერთ-ერთი მონაწილე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე - ი.ი. საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საბაჟო კონტროლისგან მალულად შემოტანის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.
გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თანამშრომლებთან ერთად, წინასწარ შემუშავებული



დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო კონტროლისგან მალულად, ცეცხლსასროლი იარაღის ნაწილების შემოტანა გადაწყვიტა.
განზრახვის განსახორციელებლად ი.ი.-მ და მისმა თანამშრომლებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადამზიდავი კომპანია შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით, ნაცნობის სახელზე საქართველოში გამოაგზავნეს საფოსტო ამანათი, რომელშიც, დეკლა-

რირებული საქონლის ნაცვლად, დამალული იყო ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილები.
სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1976 ნელს დაბადებული ი.ი. თბილისში, ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს.
პოლიციამ დაკავებულის ავტომანქანის ჩხრევისას ნივთმტკიცებად ამოიღო სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილების 16 კომპლექტი, მათ შორის 7 კომპლექტი არის „გლოკი 19“-ის მოდელის პისტოლეტის, 9 კომპლექტი კი - „გლოკი 17 გან-4“-ის მოდელის პისტოლეტის ნაწილები.
თბილისში, სოხუმის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ბინიდან, სადაც დაკავებული დროებით ცხოვრობდა, ასევე, ნივთმტკიცებად ამოღებულია „გლოკის“ 4 ბუდე, იარაღის ლულის სანმენდი 40 ჯაგრისი, ცეცხლსასროლი იარაღის 8 ტარი და 9 მჭიდი.
აგრეთვე დადგინდა, რომ დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, ბრალდებულს თანამშრომლებთან ერთად საქართველოში საბაჟო კონტროლისგან მალულად შემოტანილი იარაღის ნაწილების თურქეთში უკანონოდ გადატანა სურდა.



მაინს რატომ გაიზარდა კრიმინალი?

ქვეყანაში დანაშაულის ზრდა გარკვეულწილად სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორით არის განპირობებული - „ქართული ოცნების“ დეპუტატების შეფასება გაზრდილ კრიმინალზე

ბანკების დაყარალება, მალაზიების გაქურდვა, სისხლიანი გარჩევები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ისიც გავიგეთ, რომ ბოლო ერთ თვეში „ქართული ოცნების“ ორი დეპუტატის ბინა გაქურდეს, გუშინ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კობულაძის სახლის დარცვის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, დღეს კი მმართველი გუნდის კიდევ ერთი ლიდერის გია ვოლსკის სახლი გატეხეს.

გაზრდილ კრიმინალს პრემიერი საპარლამენტო ტრიბუნლიდან აღრიცხვიანობის მეთოდოლოგიის ცვლილებით ხსნის, თუმცა, ფაქტია, დანაშაულები ამით არც მცირდება. პასუხისმგებლობა კი აშკარად სცილდება შს სამინისტროს ფარგლებს და მმართველ პარტიასაც ეკისრება.

„კომენტარები“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებას „ქართული ოცნების“ დეპუტატები და თავად თუ გრძნობენ პასუხისმგებლობას.

კითხვით დაკავშირებით — უმჯობესი იქნება და უფრო კომპეტენტური.

— თქვენი აზრით, გაზრდილ კრიმინალზე მმართველი გუნდიც არის პასუხისმგებელი?

— ახლა გურჯაანში სტუმრებს ვიღებ, ნესიერად ვერ გელაპარაკებით. ამ საკითხთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო სწორ კომენტარს გაგიკეთებთ.

— 90-იანი წლების შემდეგ, თუ გახსენდებათ დედაქალაქის მთავარ გამზირებზე შეიარაღებული ადამიანი, რომელიც ძარცვავს ბანკს, მალაზიას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას?

— კრიმინალი ნებისმიერი ხელისუფ-

— 90-იანი წლების შემდეგ, თუ გახსენდებათ დედაქალაქის მთავარ გამზირებზე შეიარაღებული ადამიანი, რომელიც ძარცვავს ბანკს, მალაზიას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას?

— ყველაფერი შედარებითაა, შეგახსენებთ, 2012 წლამდე რა სიტუაცია იყო. ნებისმიერ ტოტალიტარულ სახელმწიფოში გაცილებით მარტივად სამართავია კრიმინალი. ეს ყველაფერი ხდებოდა ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის ხარჯზე. გავისხნოთ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკა ამ მართლებით — „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ და რა მოჰყვა ამას? ამას მოჰყვა ძალიან სერიოზული მსხვერპლი. 2012 წლის შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებაში რეფორმები გატარდა, მიდგომები ლიბერალურით შეიცვალა.

— ამბობთ, რომ ქვეყანაში შექმნილი კრიმინოგენური ვითარების მიზეზი „ქართული ოცნების“ ჰუმანური მიდგომაა?

— ერთ-ერთი მიზეზი ამ ყველაფრისა არის ჰუმანური მიდგომა. რა თქმა უნდა, კრიმინალს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის ხარჯზე. ძალიან რთული ბალანსია აქ დასაჭერი, რაც მარტივი არ არის. ჩვენ გავქვს უკვე რეალური სტატისტიკა, აქედან გამომდინარე ვხედავთ, რა არის რეალობა და რა არის გამოწვევა. ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა იყო ძალიან სწორი ნაბიჯი, დარწმუნებული ვარ, ის რეფორმები, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებს, შედეგიანი იქნება.

— თქვენი აზრით, არის თუ არა კრიმინალის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში სიღარიბის ზრდა?

— ჩვენი ქვეყნისთვის სიღარიბე არის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა, ამას არავინ მალავს. სიღარიბე ახლა კი არ არის გაზრდილი, სიღარიბის დონე დაკლებულია მაშ შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა სათავეში, უბრალოდ, სიღარიბის მაჩვენებელი ძალიან კარგად იმალებოდა და იფუთებოდა წინა ხელი-სუფლების დროს და არ იყო იმის განცდა, რომ ხალხი სიღარიბეში ცხოვრობს.

— იზიარებთ ეკონომიკის მინისტრის აზრს, რომ ხალხს აქვს განცდა, რომ უჭირს, მაგრამ ეს ასე არაა?

— მე, უბრალოდ, გითხარით, რომ სიღარიბის ფაქტორი და სიღარიბე, როგორც გამოწვევა, დღეს კი არ დადგა ჩვენი საზოგადოების წინაშე, ძალიან დიდი ხანია, ეს გამოწვევა არსებობს. ამიტომ პირდაპირ დაკავშირება კრიმინალის ზრდასა და ეკონომიკურ მდგომარეობას შორის მე არ მიმაჩნია სწორად.

— თქვენი აზრით, ვის ეკისრება კრიმინალის ზრდაზე პასუხისმგებლობა?

— რა თქმა უნდა, აქ არ არის მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობა. კი, მათი უდიდესი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ვთვლი, რომ საზოგადოებაც უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე და ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ უსაფრთხო ქვეყანა, ერთად უნდა დავძლიოთ არსებული პრობლემები.

ზაზო ალამია

კობა ნარჩემაშვილი

— რომორ აფასებთ იმას, რომ რეგისტრირებული დანაშაული 58%-ით გაიზარდა?

— ჩემი აზრით, ეს არის ტრენდი იმ ძალების, რომელსაც აინტერესებს ამ თემის პოლიტიკურად ანგაჟირება. თუ საკითხს პოლიტიკურად მივუდგებით, ამ საკითხზე სწორ დასკვნას ვერ გავაკეთებთ. კრიმინალის ზრდა არის კომპლექსური საკითხი, ასე ცალსახად არ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ კრიმინალის მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს. იმიტომ, რომ მძიმე დანაშაულებში არ არის ზრდა. ოღონდ ქონების გატაცების მიმართულებით დანაშაული რომ გაზრდილია, ფაქტია.

— თქვენ რითი ხსნით ქვეყანაში დანაშაულის მაჩვენებლის ზრდას?

— გარკვეულწილად ეს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორით არის განპირობებული. არის მცირეწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, რომლებიც ძალიან პრობლემურია და ჩვენ ვერ წავალთ იმაზე, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი 14 წელს ქვემოთ ჩამოვწიოთ, ეს იქნება უკიდურესად არაჰუმანური ნაბიჯი.

— 90-იანი წლების შემდეგ, თუ გახსენდებათ დედაქალაქის მთავარ გამზირებზე შეიარაღებული ადამიანი, რომელიც ძარცვავს ბანკს, მალაზიას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას?

— სიმართლე გითხრათ, არ მახსენდება! თუ თქვენ ამის შედარება გაინტერესებთ ნაციონალური მოძრაობის პერიოდთან, მაშინ ციხეში სასჯელს 22 000 ადამიანი იხდიდა, ახლა — 8 000. განსხვავებას ხედავთ? კრიმინოგენური ვითარების ხელში დაჭერა ყოველთვის დადის, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებებზე და, მეორე მხრივ, საზოგადოების ინტერესებზე. ჩემი აზრით, ახლა რა პრობლემებიც არის, ძირითადად უსუსური სამართალწარმოების და არასწორი გამოძიების პირდაპირი შედეგია. გარკვეულწილად შედეგია იმ ინერციის, რომელიც წინა ხელისუფლებისგან მივიღეთ. დღევანდელმა ხელისუფლებამ თავიდან ბოლომდე მიიღო ნაციონალური მოძრაობის სამართალწარმოების სტილი და პრინციპში არაფერი შეიცვალა. ტრენდი გრძელდება გამოძიებასთან მიმართებაშიც: პროცესში მხარეების არა-



თანაბარი უფლებები, დაზარალებულის როლის იგნორირება, გამოძიების არასათანადო როლი... პრაქტიკულად, იგი იქცა დამატებად პროკურორისთვის. ყველაფერმა ამან შედეგები გამოიღო და იმიტომ არის ამდენი დაუმთავრებელი საქმე, ამდენი პასუხგაუცემელი საკითხი.

— ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენურ ვითარებაზე, თქვენი აზრით, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?

— ეს არის მთლიანად ხელისუფლების პასუხისმგებლობა, შინაგან საქმეთა სამინისტრო არის სუბიექტი, რომელმაც უნდა აღასრულოს კანონი, შეიძლება ითქვას, რომ არის იმპლემენტატორი. გარდა იმისა, რომ ამას სჭირდება გამოძიება, აქ მისაღებია პოლიტიკური გადაწყვეტილებები, პოლიტიკური გადაწყვეტილებების გარეშე შსს ვერ მიიღებს ვერანაირ ზომებს.

დაპით სონულაშვილი

— რომორ აფასებთ ქვეყანაში დანაშაულის მაჩვენებლის ზრდას?

— საკითხი ძალიან კარგად ახსნა მინისტრმა გახარია. მე უფრო ეკონომიკური მიმართულებით ვმუშაობ და დეტალებში ჩაძიება არ იქნება კომპეტენტური.

— გაზრდილი კრიმინალი ქვეყნის ეკონომიკას არ აფერხებს?

— გაზრდილი კრიმინალი უფრო აღრიცხვიანობის და, შესაბამისად, ახალ სტანდარტზე გადასვლითაა განპირობებული. ბატონმა გიორგიმ, ჩემი აზრით, არაჩვეულებრივად გასცა პასუხი და შეგიძლიათ, მისი კომენტარი ნახოთ ამ სა-

ლების დროს იყოს. არასწორ ფორმულირებას აძლევთ საკითხს, 90-იანი წლების შემდეგ თუ მინახავს რას ნიშნავს? კრიმინალი ყოველთვის იყო.

— თავდაშსმელებმა რომ მიქვიათ აიყვანეს, ესეც ჩვეულებრივი ფაქტია?

— შეგიძლიათ ამოიღოთ სტატისტიკა, გადაავლოთ თვალი და ნახოთ ყველა ფაქტი. 2011 წლის თებერვალში ბევრად უფრო ცუდი მაჩვენებელი იყო, ვიდრე 2019 წლის თებერვალში. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გინდათ წარმოაჩინოთ სურათი, თითქოს ქვეყანა ჩამოქცეულია.

ირაკლი მეუპრნიშვილი

— რომორ აფასებთ ქვეყანაში დანაშაულის მაჩვენებლის ზრდას?

— მეთოდოლოგიის შეცვლამ დაგვანახა რეალური სურათი, თუ დანაშაულის რა პროცენტები გვქონდა, სად იყო ზრდა, სად გამოწვევები. დღეს ვხედავ, რომ ძალიან სერიოზული უკომპრომისო ბრძოლა აქვს გამოცხადებული შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალთან მიმართებაში და რეალურად ციფრები ცხადყოფს, რომ ძალიან სერიოზული შედეგი გვაქვს. მარტო ციფრებით საუბარი სტატისტიკის ზრდასთან დაკავშირებით, არ იქნება მართებული, რადგან ჩვენ სულ სხვა მეთოდოლოგია მივიღეთ და აქედან გამომდინარე, არ შეგიძლია ცალსახად დავასკვნათ, რომ კრიმინალი გაიზარდა. უსაფრთხოების კუთხით ჩვენ შეგიძლია ვთქვათ, რომ დედაქალაქში უსაფრთხოება მაღალ დონეზეა, რასაც მოწმობს ტურისტთა რაოდენობაც.

ამ ისტორიას ბევრი მხიარულ ანეკდოტად აღიქვამენ, თუმცა ნამდვილი ამბავია, რომელმაც მარტო საქართველოს პარლამენტში კი არა, მის კედლებს გარეთაც მღელვარე დისკუსია გამოიწვია. მოკლედ თუ ვიტყვით, ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ჯარში სამსახური. სიმშვიდის დაპყრობის კი ცოტა ხნის წინათ შექმნილი პარტია „გირჩი“ გახდა, რომელიც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი(?) თანამებრძოლის მიერაა შექმნილი.

თავშივე ვიტყვი: „გირჩი“ საქართველოში მოქმედი სხვა პარტიებისგან დიდად განსხვავდება. მეტიც, ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ძნელია მასზე უფრო ეგზოტიკური წარმონაქმნის მოძებნა. თანაც ლაპარაკია არა მის პოლიტიკური პარტიისთვის აშკარად უცნაურ სახელზე — „გირჩზე“, ქალაქგარეთ კათხა ლუდით ხელში ჩატარებულ ყრილობებზე, არამედ არაორდინარულ, ხშირად შოკისმომგვრელ საქციელზეც.

წინამდებარე წერილის დანერის მიზეზიც სწორედ ერთ-ერთი ასეთი გარემოება გახდა. „ჯარში განვეყის გაუქმებასთან დაკავშირებულ კანონპროექტს მე ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, პარლამენტის დეპუტატად ყოფნის დროს ვაყენებდი“, — იხსენებს პარტიის ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა თითქმის 3 პროცენტი მიიღო. — სამაგიეროდ, ახლა „გირჩში“ ამაზე სერიოზულად დავფიქრდით“.

თანაც, ცყვილად როდი დაფიქრებულან. აღმოჩნდა, რომ პარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ვანო მეგრელიშვილმა, რომელმაც საგულდაგულოდ მოიხსნო „საქართველოს კანონის სამხედრო სამსახურის შესახებ“, აღმოაჩინა, რომ მასში სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისთვის გარკვეული შეღავათებია გათვალისწინებული. კერძოდ, კანონში აღნიშნულია, რომ ღვთისმსახურებს ჯარში სამსახურის გადავადება შეუზღუდავი ოდენობით შეუძლიათ, 27 ასაკის მიღწევის შემდეგ კი მოქალაქეს ჯარში აღარ იწვევენ.

ჰოდა, ამიტომაც პარტიაშიც საკუთარი რელიგიური კონფესიის დარეგისტრირება გადაწყვიტეს, სათანადო საბუთებზეც ჩააბარეს სადაც საჭირო იყო. თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: ოფიციალურ ინსტანციებში „გირჩის“ წარმომადგენლებს პირობა წაუყენეს: რელიგიური კონფესიის დასარეგისტრირებლად ის ან ტრადიციული უნდა იყოს, ანდა აღიარებული ევროკავშირის ტერიტორიაზე.

ჩვენი რელიგიისთვის, მართალია, გრძელად, სამაგიეროდ, ეფექტური სახელწოდება მოვიფიქრეთ: „საქართველოს ქრისტიანული, ბაპტისტური, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესია — „ბიბლიური თავისუფლება“, — იხსენებს ზურაბ ჯაფარიძე. კონფესია რეგისტრაციაში გაატარეს, მაგრამ „გირჩის“ ლიდერები მაინც არ ამხედნენ, თუ რისთვის სჭირდებოდათ ყოველივე. მერე ვიღაც ახალგაზრდა კაცი მონახეს, რომელიც წინამდებარეში არაერთხელ ყოფილა განვეული და თავიანთი ეშმაკურად მოფიქრებული კანონის გამოცდა გადაწყვიტეს. „ახალგაზრდას კანონის დებულება გავაცანით, რომლის თანახმად მღვდლებს უფლება აქვთ, ჯარში არ იმსახურონ და მივეცით ჩვენი რელიგიური ორგანიზაციის მსახურის სერტიფიკატი“, — გვეუბნება ზურაბ ჯაფარიძე.

იქნებ არ დამიჯეროთ, მაგრამ ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა — ახალგაზრდა კაცი ჯარში არ გაიწვიეს! და საქმეც აენწყო: მოკლე დროში ჯარში სამსახურს თავი აარიდა დაახლოებით 7000 ახალგაზრდამ. ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყოველივე ამას „გირჩის“ „გამომგონებლ-



„გირჩი“ სამშობლოს დასვის წინააღმდეგ

ბი“ სრულიად „უსასყიდლოდ“ აკეთებდნენ(!). ამ ქმედობრივად საანეკდოტო თაღლითური სქემის ერთ-ერთი ავტორის ლაკონიური განმარტებით, ამ ქმედების მიზეზი „დაკანონებული საჯარო სო მონობის“ წინააღმდეგ მიმართული პროტესტის გრძნობა იყო.

მხიარულ „მშვიდობისმყოფელთა“ იონებს საქართველოს ხელისუფლება და ეკლესია კარგა ხანს ურიგდებოდნენ, მაგრამ ადრე თუ გვიან ყველაფერს ლოგიკური ბოლო უნერია. საქართველოს საპატიარქომაც ხმა აღიმალა.

„სასულიერო პირთა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა და ჩვენ მას მხარს ვუჭერთ. სახელმწიფოში ასევე გარანტირებული უნდა იყოს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური. მაგრამ ეს პრაქტიკა არ უნდა იყოს გამოყენებუ-

თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი და საგანგაშო სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს: სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადებით ბოლო დროს ისარგებლა ხუთმა მუსლიმანმა, 50-მა მართლმადიდებელმა ღვთისმსახურმა, 165-მა იელოვას მონემ და... 6908 ე.წ. ბიბლიური თავისუფლების მიმდევარმა.

ამიტომაც იყო, რომ ბატონმა სესიაშვილმა უმაღლესი პარლამენტში „ბიბლიური თავისუფლებისთვის“ „ფრთხილად შესაკვეცი“ კანონპროექტი, მაგრამ შეცდომა დაუშვა — როგორც ჩანს, მას სიჩქარეში დაავინყდა, რომ საქართველო მრავალკონფესიური ქვეყანაა, მან კი საკანონმდებლო საფუძველზე ჯარში სამსახურისგან მხოლოდ მართლმადიდებელ ღვთისმსახურთა გათავისუფლების წინადადება წამოაყენა. ამდენად, საგვებით ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივად კანონპროექტი სხვა რელიგიური კონფესიების დისკრიმინაციად აღიქვა. მოგვიანებით სესიაშვილმა განაცხადა: „კანონპროექტში ლაპარაკი იქნება არა მარტო მართლმადიდებელ მრევლზე, არამედ ის ყველა ტრადიციულ რელიგიურ ორგანიზაციას შეეხება. თუკი რომელიმე კოლეგას მიაჩნია, რომ ჩემი ინიციატივით შექმნილი კანონპროექტი დისკრიმინაციული ხასიათისაა, ვთავაზობ ამ თემაზე კონსულტაციების გაგრძელებას“, — თქვა პარლამენტარმა, თან განმარტა, რომ მისი კანონპროექტი ისეთი ფსევდორელიგიური გაერთიანებების წინააღმდეგაა მიმართული, როგორცაა „ბიბლიური თავისუფლება“. ამდენად, კანონის მიღება გადაიდო, ოღონდ, სავარაუდოდ, არცთუ დიდი ხნით.

მაგრამ, ზურაბ ჯაფარიძე და „გირჩი“ შეტყვის გასამკლავებლად მზადყოფნაში არიან. მისი განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ირაკლი სესიაშვილის მიერ შეტანილი კანონპროექტს პარლამენტი კანონად აქცევს, მათ „არა მარტო კანონის თაოსნის, არამედ მთელი მთავრობის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენების“ რამდენიმე გზა აქვთ. ისინი „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერთა სიას გამოაქვეყნებენ, რომელთა ვაჟიშვილები ჯარში კი იყვნენ განვეულიები, მაგრამ არ უმსახურიათ.

ნუსხაში პირველ ნომრად მიხეილ სა-



აკაშვილის ვაჟია შეყვანილი, რომლის გარდა არიან მინისტრების ვანო მერაბიშვილის, ალექსანდრე (კახა) ლომიაის, დიმიტრი შაშვინის, ზურაბ ნოღაიდელისა და სხვა მაღალჩინოსანთა ძეგები.

„ქართული ოცნების“ მთავრობიდან სიაში მოხვდნენ ექსპრეზიდენტთა ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი კვიციანიშვილის, ასევე მთავრობის მოქმედი და ყოფილი წევრების დავით დარახველიძის, ლევან ყოფიანისა და ივანე მაჭავარიანის ვაჟიშვილები.

„გირჩმა“ ასევე იმ დეპუტატების სახელებიც გამოამზეურა, რომელთა ვაჟიშვილებმა ან ოჯახის წევრებმა სავალდებულო სამხედრო სამსახური არ გაიარეს. სიაში მოხვდა საქართველოს პარლამენტის მეექვსე მოწვევის — 37, მერვე მოწვევის — 50 და მეცხრე მოწვევის 26 წევრი. ჩამოთვლილთა შორის აღმოჩნდა თავად ირაკლი სესიაშვილიც.

პოლიტიკოსთა სახელების გამოქვეყნების სურვილს „გირჩში“ იმით ხსნიან, რომ სურთ გამოაშკარაონ, რომ იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სამხედრო ვალდებულების შესრულების იდეას საჯაროდ კი იცავენ, სინამდვილეში თავიანთ ძეგების მისი მოხდისგან საგულდაგულოდ მალავენ. ესე იგი, კვლავ აშკარაა საკითხისადმი მიდგომის ორმაგი სტანდარტები. როგორ უნდა შევავასოთ ამგვარი მოქცევა, თავად განსაჯეთ, პატივცემული მკითხველო.

ვალიშ
ანასტასიანი,
გამთ „ვეჩერნი გბილისის“ მთავარი რედაქტორი



ჩინჩალაქე მოსამართლე 2043 წლამდე იქნება, მურუსიქე 2040-მდე!

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ სპეციალურ ინფორმაციას აქვეყნებს, სადაც არის მონაცემები იმის შესახებ, თუ რომელი მოსამართლე, რა ვადით იწარუნებს მოსამართლის თანამდებობას.

ინფორმაციაში მოყვანილია ის მოსამართლეები, რომლებსაც ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი, ასევე ქართული ოცნებიდან წამოსული დეპუტატებიც, ე.წ. მოსამართლეთა კლანის წევრებად ასახელებენ. როგორც არა-

სამთავრობოები აცხადებენ, აღნიშნული პირები სასამართლო სისტემაში ყოფნას კიდევ 20 წელი აპირებენ.

უვადოდ გამწვანებული ლევან მურუსიძე მოსამართლის პოზიციაზე 2040 წლამდე იქნება, მიხეილ ჩინჩალაქე 2043 წლამდე, დიმიტრი გვრიტიშვილი კი 2045 წლამდე.

დღეს საერთო სასამართლოებში განწესებულია 298 მოსამართლე, მათგან 154 უვადოდ დანიშნულია. დამატებით, 40 მოსამართლეს მიმართული აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის უვადოდ გადანიშნვის მოთხოვნით.

როგორ იქცა ქართველი გენერალი

თურქად!

სხვა არ გვინდა, მაგრამ არს ჩვენი გვემეტება სასხვისოდ

მოსკოვის გაზეთ „საქარბინი მათერიალი“-ში (2019 წ. №3) დაიბეჭდა სანკტპეტერბურგელი ისტორიკოსისა და ჟურნალისტის დიმიტრი მიტიჰინის საყურადღებო სტატია „თურქები რუსეთის გარდაცემულნი“.

ეს არის „ალეგორიული“ საუბარი რუსეთისა და თურქეთის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე, რომლებმაც თავიანთი ისტორიის მანძილზე 12 სრულმასშტაბიანი ომი გამართეს. ოლონდ, ხაზგასმულია საგანგებოდ, - არც ერთი ომი არ ჰქონიათ ბოლო 100 წლის მანძილზე. ის კი არა, მტრული ჩასაფრების ნაცვლად მეგობრული ტალღაც გადაუვლიდათ ხოლმე. მაგალითად, სტამბოლის ტაქსიმის მოედანზე ათათურქისა და თურქეთის რესპუბლიკის შემქმნელ სხვა უთვალსაზრისო მოღვაწეთა გვერდით იხილვის ორი საბჭოთა თავდაცვის სახკომი - ფრუნზე და ვოროშოლოვი.

რუსეთის მონუმენტებს შორის თურქი მოღვაწენი არ არიან, მაგრამ რუსეთის ისტორიაში თურქე საკმაოდ ბევრი პიროვნებაა თურქული ძირებით. მათ შორის არიან 1812 წლის სამამულო ომის გმირი გენერალი პავლე პეტრეს ძე ტურჩანინოვი, სამოქალაქო ომის პერიოდში რუსეთის უმაღლეს მმართველად სახელდებული ადმირალი ალექსანდრ ვასილის ძე კოლჩაკი (1874-1920) და სხვ. თავიანთ თურქულ ძირებს საგანგებოდ ხაზს უსვამდა ორი გამოჩენილი საბჭოთა მწერალი - კონსტანტინე პაუსტოვსკი, რომელიც ორჯერ იყო ნომინირებული ნობელის პრემიაზე და ცნობილი ჰეროიკულ-ჯაშუშური რომანის „ფარი და მხვილის“ ავტორი ვადიმ კოჟუგინოვი. სხვათა შორის ამ წიგნის მიხედვით გადაღებული განმარტებული ფილმის ნახვის შემდეგ გადაუწყვეტია, მზვერავი გამხდარიყო მომავალ რუსეთის პრეზიდენტს, ახალგაზრდა ვლადიმერ პუტინს.

რა თქმა უნდა, მკითხველი უმაღლეს ხედება, რომ სტატიის ავტორი კოჭს უგორებს თურქეთსა და თურქებს. ისიც იოლად მისახვედრია, თუ რატომაც. რუსეთის ისტორიამ კარგად იცის ასეთი „ჰუმანიტარულ-მეგობრული“ აქტები გუშინდელი მოსისხლე მტრის მიმართ, როცა პოლიტიკური კონიუნქტურით ამის საჭიროება დგება.

მაგრამ რუსეთის ამ მორიგმა საგარეო პოლიტიკურმა „პაპმა“ როდი ამაღებინა კალამი. მე პირადად ამ სტატიამ „დამაკარგვინა“ ერთი ქართველი (ქართული წარმოშობის) გმირი გენერალი - ალექსანდრე ივანეს ძე კუტაისოვი. ქსე-ში (ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში) ვკითხვლობთ: „კუტაისოვი ალექსანდრე ივანეს ძე (1784 წ. 30 VIII - 1812 წ. 26 VIII). გრაფი, რუსი მხედართუფროსი (წარმოშობით ქართველი, გვარად კიკიანი). გენერალ-მაიორი (1806). 1799 წლიდან არტილერიის გენერალ-ინსპექტორი. ა. არაკჩევის ინსპექტორ-ადიუტანტი. 1803 წლიდან მსახურობდა არტილერიაში. მონაწილეობდა რუსეთ-საფრანგეთის ომის 1806-1807 და 1810-1811 წლების კამპანიებში. ენასა და პარიზში სწავლობდა აღმოსავლურ ენებს, მათემატიკისა და სამხედრო საქმეს. დაწერა ინსტრუქცია „ზოგადი წესები არტილერიისთვის საველე ბრძოლის დროს“, რომელიც ასახავდა მონაწილე შეხედულებებს არტილერიაზე, ბრძოლაში მის დაჯგუფებასა და მანევრებზე. 1812 წელს რუსეთის 1 არმიის არტილერიის უფროსია. გმირულად დაიღუპა ბოროდინოს ბრძოლის დროს რაევსკის ბატარეებზე“.


ამ ბიოგრაფიას დაახლოებით ასევე იმეორებს მეორე ქართული ცნობარი, თანაც აზუსტებს გენერლის მამის ვანო კიკიანის საცხოვრებელ ადგილს - ქუთაისს, საიდანაც საგარეოდ უნდა ყოფილიყო წარმოშობილი გენერლის გვარი.

ამავე დროს ქართველი გენერალი ალექსანდრე კუტაისოვი (კიკიანი) ნახსენები არ არის ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ვაჟის, ბატონიშვილ ბაგრატიის მიერ შედგენილ საფრანგეთ-რუსეთის ომის მონაწილე ქართველების მიახლოებით სიაში, არც ირაკლი ანთელავას სერიოზულ გამოკვლევაში. „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში“. თუ ბაგრატი 37 კაცს ასახელებს, ანთელავა ამ სიას 70 კაცამდე ზრდის. მათ შორის 12 გენერალი (2 ბაგრატიონი, 2 იაშვილი, 2 ფანჭულიძე, 3 ჯავახიშვილი, სიმონ განგებლიშვილი, ანტონ შალიკაშვილი, პავლე ბიბილური).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრე კუტაისოვი 12 წლისა კაპიტანი გახდა, 15 წლისა - პოლკოვნიკი, 22 წლისა კი - გენერალი (ნაპოლეონ ბონაპარტეზე ორი წლით ადრე!), იყო გრაფი, გიკვირს, როგორ მოახერხა უთვისტომო ქართველმა ჭაბუკმა ამის მიღწევა და სრულიად ბუნებრივად და კანონზომიერად სიამაყე გეუფლება მისი წარმატებების გამო.

მაგრამ ნაკითხვაც გაზეთ „სეკრეტნიე მატერიალს“ და ეს სიამაყე ხელში შემოგადნება, უფრო სწორედ, საამაყო არაფერი დაგრჩება კუტაისოვის ქართული წარმოშობის გამო.

ირკვევა, რომ 1770 წელს ციხესიმაგრე ბენდერის აღების დროს რუსებს ტყვედ ჩაუვლიდათ 10 წლის თურქი ბიჭი. გენერალმა (შემდეგში ფელდმარშალმა) ნიკოლოზ რუჰინმა იგი გამოისყიდა და საჩუქრად გაუზღავნა იმპერატორსა ეკატერინე II-ს. ბიჭი მონათლეს, დაარქვეს ივანი, ხოლო მამის სახელად მისცეს პავლოვიჩი, უფლისწულის პატივსაცემად, რომელსაც ის მიუჩინეს მსახურად. გვარი კუტაისოვი, სტატიის ავტორის აზრით, წარმომდგარია თურქულ ქალაქ კიუტაპტიდან, საიდანაც წარმოშობით იყო ბიჭი.



რუსეთის ტახტის მემკვიდრემ ივანი პარიზში გაგზავნა საპარიკმახერო ხელოვნების შესასწავლად, დაბრუნების შემდეგ კი ობერ-შტალმაისტერად გაამწესა. მოხერხებული და პირმოთნე ყმანვილი პავლეს ნდობით სარგებლობდა და როცა პატრონს პარსავდა, აუცილებლად რამეს გამოსტყუებდა ხოლმე.

ტახტზე ასულმა პავლე I-მა ივანე კუტაისოვი ჯერ ბარონად აღაზრდა, შემდეგ გრაფად და დააჯილდოვა მრავალი ორდენით, თვით წმინდა ანდრია პირველწოდებულ-

ლის ორდენითაც კი, თუმცა ამასთან, კარის დალაქობიდან არ გაათავისუფლა.

როგორც სახელმწიფო მოღვაწე, კუტაისოვი უსარგებლო კაცი იყო. მწყალობელი პავლე I-ის მკვლელობის შემდეგ ის თადარიგში გავიდა და როგორც რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი, ლაღად ცხოვრობდა, მის გამდიდრებას ხელი შეუწყო სარფიანმა ქორწინებამაც, ჰყავდა 6 ვაჟი.

ივანე პავლოვიჩი 1834 წელს გარდაიცვალა, როცა მისი უფროსი ვაჟი პავლე კამერგერი და სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო. მაგრამ რუსეთის ისტორიაში სხვაზე მეტად ცნობილია კარის დალაქის უმცროსი ვაჟი ალექსანდრე. სწორედ მასზე გვაქვს ლაპარაკი.

მაგრამ სანამ სიტყვას ალექსანდრეზე გავაგრძელებდეთ, ივანე პავლოვიჩის სიტყაბუკის მეორე ქართული ვერსიაც ვნახოთ. ქალაქ ქუთაისის (აქედან გვარი კუტაისოვი) თურქთაგან განთავისუფლებისას გენერალ ტოტლებენის ოფიცრებმა სამი ტყვე ყმანვილი დაიხსნეს. თურქებმა სამივეს წინადაცვეთა ჩაუტარეს (ამიტომ მიიჩნევენ მათ თურქებად). ბიჭები პეტერბურგში ჩაიყვანეს, მაგრამ ცოცხალი მხოლოდ ერთი - ივანი დაჩრა, რომლის ნამდვილი გვარი იყო კიკიანი. მისი შემდგომი ცხოვრება ისე წარიმართა, როგორც რუსული წყაროები აღწერენ.

ივანეს უმცროსი ვაჟი ალექსანდრე არმიში ჩაირიცხა 10 წლისა. როგორც ვთქვით, 12 წლისა კაპიტანი გახდა, 15 წლისამ კი დაუსწრებლად მიიღო პოლკოვნიკის წოდება. მაგრამ მხოლოდ ბედის წყალობის და მამის ხელნაკვეთის იმედადაც არ ყოფილა, გულში ამოჭრილი ჰქონდა სამხედრო საქმის ნამდვილი პროფესიონალი გამხდარიყო.

ალექსანდრე ლაპარაკობდა 6 ენაზე, წერდა ლექსებს, კარგად ხატავდა, მან სწრაფად გაიკეთა კარიერა ისეთი გამოჩენილი სარდლების ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ მ. კუტუზოვი, ა. არაკჩევი, ა. კორსაკოვი.

როგორც ვთქვით, მან თავი გამოიჩინა ნაპოლეონის წინააღმდეგ 1806-1807 წლების კამპანიაში: პრესიში-ილაუსთან ბრძოლისას ახალგაზრდა გრაფი მარჯვენა ფლანგის არტილერიას ხელმძღვანელობდა, მისმა გონიერმა მოქმედებამ გადაარჩინა რუსეთის არმია და მას წმ. გიორგის III ხარისხის ორდენი უბოძეს. იმპერატორმა ალექსანდრემ მამისის უთხრა: „თქვენი შვილი რუსეთის არმიის ღირსეული წარმომადგენელია, არმიას უყვარს იგი“.

ფრიდლანდთან ბრძოლისას მისმა სიამაყემ გადაარჩინა რუსთა მთელი არტილერია და ამისთვის აღმასებით შემუშავებული ოქროს დაზნით დაჯილდოვდა. ზავის დადების შემდეგ ვეროპაში გაემგზავრა სასწავლებლად. დაბრუნებულმა დაწერა ის ცნობილი „ზოგადი წესები არტილერიისთვის საველე ბრძოლაში“, რომელიც მთელ 50 წლის მანძილზე არტილერიის ოფიცერთა სამაგიდო წიგნად ითვლებოდა.

1812 წელს, როცა ნაპოლეონთან გადამწყვეტი შეტაკება დაიწყო, 28 წლის კუტაისოვი (ყველაზე ახალგაზრდა გენერალი რუსეთში) მეთაურობდა რუსეთის არმიის მთელ არტილერიას. ბოროდინოს ბრძოლის კულმინაციურ მომენტში იგი, ერთმოლოვან ერთად, სათავეში ჩაუდგა კონტრშეტევას ფრანგების მიერ აღებული კურგანის ბატარეის დასაბრუნებლად. ის ამ შეტევის დროს დაიღუპა. ჯარისკაცებმა მხოლოდ მისი ცხენი დაიჭირეს გასისხლიანებული უნაგირით, მაგრამ ყუმბარის პირდაპირი მოხვედრით დაგლეჯილი გენერლის სხეული კი ვერ მოიძიეს.

რომელიც მოხვდა „თურქული წარმოშობის“ ივანე პავლოვიჩ კუტაისოვის შვილი ალექსანდრე ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ქართული წარმოშობის გენერლად, ქუთაისელ ვანო კიკიანის შვილად? მხოლოდ იმით, შერქმეული გვარი კუტაისოვი ძალიან რომ ჰგავს ქუთაისიდან ნაწარმოებს?

ჩვენ სრულიადაც არ გვჭირდება სხვათა, უცხოთა შემომატება, ჩვენი გმირებიც საკმარისი გვეყვანან, მაგრამ არც ჩვენი გვემეტება სასხვისოდ. გულდასაწყვეტია, რომ ასეთ სერიოზული (გნებავთ ეროვნული მნიშვნელობის) საკითხზე რუსულ გაზეთს და ავტორს შუბლზე ვერ ავაფარებთ ჩვენი სიმატლის დამამტკიცებელ საბუთს!

ალექსანდრე ასლანიშვილი

„ევერტსენი“, „სანტა მარია“, „ტორონტო“ „ილდირიმი“ - ნატოს სამხედრო სომალდები შავ ზღვაში გაემოხდნენ

ნატოს სამხედრო სომალდებმა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები გაიარეს და შავ ზღვაში შემოვიდნენ. ამის ამსახველი ფოტოები Twitter-ში ქვეყნდება.

„ევერტსენი“, „სანტა მარია“, „ტორონტო“, „ილდირიმი“, „რეჯელე ფერდინანდი“ და „დრიზკი“ მოუთმენლად ელიან ოპერაცია Sea Shield-ის ჩატარებას და უკრაინელ და ქართველ პარტიზორებთან ერთად მუშაობას, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ორი ხომალდი 1 აპრილს ოდესის პორტში შევა.

„კანადის სამხედრო-საზღვაო ძალების სამეფო ფრეგატი „ტორონტო“ და ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ფრეგატი „სანტა მარია“ ოდესაში შავ ზღვაში პატრულის შემდეგ ნატო-ს ჯგუფის მე-2 მუდმივი სამხედრო-საზღვაო ჯგუფის შემადგენლობის სხვა გემებთან ერთად, რამდენიმე დღის განმავლობაში შევლენ, - იუწყება უკრაინული მედია.



„სოცხალი ნიგნები“ ასტრიდ ლინდგრენის ქვეყანაში

ბამიბართლა და იმ 27 ქართველ ავტორს შორის მოხვდით, ვისი ლექსებიც შეედურად ითარგმნა და ანთოლოგიად გამოიცა. შედეგად ასე აღმოჩნდა – პროექტ „ცოცხალი ნიგნების“ მონაწილე კიდევ ორ პოეტთან ლია სტურუასა და პაატა შამუგიასთან ერთად. კომპენდიუმის და მალმოს დამაკავშირებელი ცნობილი ხიდი გადავიარეთ და მალმოსი ჩავედით – ჩვენი პოეტური ტურიც იქ დაიწყო.

ქართველი პოეტები შევდებამ ავტორმა და გამომცემელმა კრისტიან კარლსონმა ითარგმნა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილეც იყო. ქართველი პოეტების ლექსების შედეგად ბნკარდები კი მანანა კობაიძემ მოამზადა. ამ ანთოლოგიამდე კრისტიანმა მაია სარიშვილის, ლია ლიქოკელის, ზურა რთველიაშვილის, პაატა შამუგიას კრებულებიც დაბეჭდა. დღე-დღეზე ნიკა ჯორჯანიელის პოეტური კრებულებიც გამოვა.

პოეტური კითხვა შევდეთის სამ ქალაქში – მალმოსი, სტოკჰოლმსა და უფსალაში გვექონდა. ქართულ-შვედური აუდიტორია გვისმენდა. ორ ენაზე ვკითხულობდით – ჩვენ ქართულად და კრისტიანი შვედურად – საინტერესო შეგრძნებაა, როცა ლექსი, რომელიც მშობლიურ ენაზე დაწერე, უცებ უცნობ ენაზე გესმის და თან მსმენელის ემოციასაც აკვირდები – როგორ გაიგებენ, რაზეც შენ წერ, მათაც იგივე ანუხებს თუ არა, რაც შენ.

„ნიგნის ბაზრობებისგან განსხვავებით, სადაც შემთხვევითი მსმენელიც შეიძლება შენს კითხვაზე მოხვდეს, აქ, ადამიანი, კონკრეტულად შენს მოსასმენად მოდის. ბოლომდე და ყურადღებით გისმენს. აქაც ასე იყო. ჩემდა გასაკვირად, სტერეოტიპების ტყვეობაში ვყოფილვარ, როცა შედეგები ცივები და მოთოკილი ემოციის ხალხი მეგონა. სულ სხვა აუდიტორია დამხვდა, თითქოს მეც მათი ნაწილი ვყოფილიყავი, ისე გვისმენდნენ“, – თქვა პაატა შამუგიამ, როცა


კითხვის შთაბეჭდილებებს ერთმანეთს ვუზიარებდით.

„არადა, როცა „ცოცხალი ნიგნები“ დავიწყეთ, ვერც წარმოვიდგენდით, რომ ეს პროექტი საზღვრებს გასცდებოდა და ქართველ მწერლებს უცხოური აუდიტორიის წინაშეც წარვადგენდით“, – გვითხრა პროექტ „ცოცხალი ნიგნების“ იდეის ავტორმა ქეთი დუმბაძემ.

თავიდან, როცა კულტურის სამინისტრომ ეს პროექტი წამოიწყო და მასში დაახლოებით 70 ავტორი ჩაერთო, „ცოცხალი ნიგნები“ უფრო რეგიონალური პროექტი იყო, რომლის იდეაც საქართველოს თითქმის ყველა რაიონსა თუ სოფელში მწერლების მოგზაურობა და ადგილზე საკუთარი ტექსტების კითხვა იყო.

მერე, როცა ფეისბუქზე „ცოცხალი ნიგნების“ გვერდი გაჩნდა და მწერლების მოგზაურობების ამბებიც ხშირად იწერებოდა, მათთან შეხვედრის სურვილი საქართველოს გარეთ მცხოვრებმა ქართველებმაც გამოთქვეს:

„ემიგრანტები სულ გვერდნენ, რომ მათაც სურდათ ქართველ ავტორებთან შეხვედრა, თანამედროვე ლიტერატურის გაცნობა, ახალი ნიგნები. თუმცა მივხვდი,



რომ მართლ ქართულ დიასპორასთან ჩასვლა და იქ წაკითხვა, ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის საკმარისი არ იქნებოდა. ადგილობრივ მკითხველსაც უნდა გავცნო ქართველი ავტორები. დავინწყე იმ ადამიანების ძებნა, ვინც უცხოეთში თარგმანით და ნიგნების გამოცემით იყო დაკავებული. ასე გამოჩნდა იტალიაში ნუწუ გელაძე, შვედეთში კრისტიან კარლსონი... ფიქრობ, ყველაფერი წინაა“, – ამბობს ქეთი დუმბაძე.

საქართველოს საზღვრებს გარეთ გასვლა და ქართველი ავტორების პროზის თუ პოეზიის თარგმნა და იქაუ-

რი აუდიტორიის წინაშე კითხვა „ცოცხალი ნიგნების“ ახალი მიმართულება გახდა.

„ისე, რატომაც არა? – საუბარში ლია სტურუა ჩავეერთო, – მე სულ გვითხვობო თანამედროვე მსოფლიო პოეზიას და არავიზე ნაკლები ქართული პოეზია არ არის. ასეთ ანთოლოგიებსაც მოჰყვება ხოლმე კარგი გაგრძელება. მაგალითად, ჩემს ლექსებს ერთი გამომცემელი გერმანულენოვან ანთოლოგიაში წააწყდა, მოეწონა და მთელი ნიგნის თარგმნა და გამოცემა გადაწყვიტა...“

მალე „ცოცხალი ნიგნების“ ფარგლებში ქართველი პოეტების იტალიური ანთოლოგიაც მზად იქნება – მასში ექვსი ქალი ავტორის ლექსები შევა. ნიგნის პრეზენტაცია იტალიაში, პიზის პოეზიის ფესტივალზე დაგეგმილი. ქართველი ავტორების ერთი კრებული უკვე დაიბეჭდა ისრაელშიც.

ქართველი ავტორების ბოლო შეხვედრა უფსალაში გაიმართა. იქ ბანგლადეშელი პოეტი, ანისურ რაჰმანი დაგხვდა – ანისურიც თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის სტუმარი იყო – მისი ლექსები ქართულად მანანა მათიაშვილმა თარგმნა. სიმამრებით ჩამოვიდოდი ისევ თბილისში, გვითხრა. დავპირდით, რომ ერთმანეთს ჩვენი ლექსების ინგლისურ თარგმანებს გავუცვლიდით.

იპა ქვეანიშვილი

„თოკების პარკი“ მტირალას ეროვნულ პარკში

აჭარაში ჩასულ ტურისტებს, ახალი ტურისტული ატრაქციია – „თოკების პარკი“ დახვდებოდა, რომელიც მტირალას ეროვნულ პარკში მოეწყო. ამის შესახებ „კომერსანტს“ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან აცნობეს.

გახსნის ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ვალერიან მჭედლიძე და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტი დაესწრნენ.

თოკები პარკის პირველი ვიზიტორები ნორჩი რეინჯერები და ადგილობრივი მუ-

ნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეები იყვნენ. „თოკების პარკი“ წარმოადგენს ეკო-საგანმანათლებლო ატრაქციას და გარემოში არსებულ შემცენებით გასართობ ადგილს.

ეკოტურისტული ობიექტი გათვლილი იქნება სხვადასხვა სეგმენტის ვიზიტორზე და განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება გარემოს დაცვის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ასევე, ის ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. „თოკების პარკი“ კავკასიის ბუნების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო და მასზე 168 000 ლარი დაიხარჯა.



„აფხაზური ენა დამწყებთათვის“

საპრემიუმო ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ აფხაზური ენის მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის მიზნით გამოცემული ნიგნის – „აფხაზური ენა დამწყებთათვის“ პრეზენტაცია გაიმართა.

ნიგნი წარმოადგენს დამსმარე სახელმძღვანელოს აფხაზური ენის შესწავლის მსურველთათვის. მასში მოცემული გაკვეთილებსა და თემების განხილვა დაეხმარება მკითხველს, შეისწავლოს წერა-კითხვა აფხაზურ ენაზე, გაეცნოს ხშირად გამოყენებად სიტყვებსა და ფრაზებს, შეიძინოს დიალოგის წარმართვისთვის აუცილებელი ლექსიკური მარაგი. ნიგნის შემდგენლები არიან თეიმურაზ გვანცელაძე, რიტა ამიჭბა-მარლანია და ირმა ოსია-კინწურაშვილი.

ღონისძიებაზე მონაწილემა სტუმრებმა და ნიგნის ავტორებმა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და აფხაზური ენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ასევე აღნიშნეს, რომ ნიგნი აფხაზური ენის, კულტურისა და იდენტობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს.

პრეზენტაციაზე აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა აფხაზურ ენაზე წაკითხეს ნაწყვეტები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომი-

ური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა (გია) გვაზავა,



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი ზვიად ზვიადაძე, აფხაზეთის საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ.



თარიღი თარიღია!

შერისხული

ისტორიამ უკვე გამოუტანა განაჩენი. რამდენად სამართლიანი? — ამ კითხვას პასუხი, ალბათ, საუკუნეთა შემდეგ გაცემა, რამეთუ დროა მოვლენათა და ნამოღვანართა ყველაზე პირუთვნელი შემფასებელი.

ლავრენტი ბერია ზოგისთვის პირსისხლიანი ჯალათია, მაგრამ არიან ისეთები, ვისაც დღემდე აღაფრთოვანებს მისი რეფორმატორული ნიჭი და ფართო გონებრივი მასშტაბები. მართლაც, ძნელია უარყო ის კვალი, რაც ამ წინააღმდეგობრივმა პიროვნებამ ჯერ საქართველოს დედაქალაქისათვის თანამედროვე სახის მიცემაში გაავლო (საილუსტრაციოდ მარტო მტკვრის სანაპიროს გაშენება და ცირკის შენობის

აგებაც კმარა), ხოლო მოგვიანებით, „დერუვის“ ცენტრში გადაყვანის შემდეგ — საბჭოური ატომური ბომბის შექმნაში.

ის ალიკვალნი წარმომადგენელია ისტორიულ ფიგურათა იმ კოჰორტისა, პროვინციათა მკვიდრნი რომ იყვნენ და როგორც „ნაცმენებმა“, ისე გაიკვლიეს გზა უმაღლეს იერარქიულ კიბეზე (ნაპოლეონი, თუნდაც — სტალინი, ჰიტლერზე აღარაფერს ვამბობთ).

დიდ ნიჭთან ერთად, ალბათ, მათ არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევის სურვილიც ამოძრავებდათ, აქაოდა, გენიოსები მხოლოდ გაბრდღვი-ალებულ დედაქალაქებში როდი იზადებოდა, მაგრამ ვერავინ უარყოფს იმ

წვლილს, რაც შესაბამის ეპოქას დაამჩნიეს. სწორედ ამიტომ, სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად, მემბტიანე მომავალშიც ამა თუ იმ ფორმით შეახსენებს შთამომავლობას, რომ 1899 წლის 30 მარტს გულრიფშის რაიონის სოფელ მერხულში დაიბადა საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი პავლეს ძე ბერია, რომელიც 1953 წლის 26 ივნისს მიჩუმად დაკრძალული ველიკოდერუჟის რუსული შოვინიზმის მსხვერპლი გახდა — გეყოფათ ქართველებს დიდ რუსულ ტახტზე ჯდომამო, თორემ მარტო ბრიყვ ხრუშჩოვს სად ჰქონდა ამის თავი.

დღეს მას 120 წელი შეუსრულდებოდა...

გაჰან დოლიძე

დუელი ტრაგედია და მერკელს შორის „ჩრდილოეთ ნაკადი“-ის გამო

მილსაძენი „ჩრდილოეთ ნაკადი“, რომლითაც ხდება რუსული გაზის გადაქაჩვა გერმანიაში — ეს არის პირადი გამდიდრების, იდეალისტური პოლიტიკის და ავანტიურული სტრატეგიული აზროვნების ისტორია.

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და გერმანიის ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი მონაწილეობას იღებენ დუელში მშენებარე პროექტ „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის ირგვლივ, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიულ ობიექტს რუსეთისთვის — ის მისცემს მოსკოვს ევროპაში გაზის ტრანსპორტირების საშუალებას უკრაინის გვერდის ავლით. ეს კი ეკონომიკურ თან ერთად, პოლიტიკური საკითხიცაა.

თუმცა, ეს ყველაფერი დაიწყო ბევრად უფრო ადრე. ამ კონფლიქტს წინ უძღოდა სამწუხარო ისტორია — იწყება ის 2005 წელს, როდესაც გერმანიის მართავდა კანცლერი გერჰარდ შრედერი, რომელმაც არჩევნებში წაგების შემდეგ, ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო დღეებში ხელი მოახერხა შეთანხმებას გაზსადენის მშენებლობის თაობაზე თავის მეგობართან — რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან. რამდენიმე დღეში გადამდგარმა პრემიერ-მინისტრმა მიიღო სერიოზული პოსტი რუსულ „გაზპრომში“ — მას დაევა 1200-კილომეტრიანი გაზსადენის მშენებლობის პროცესის კონტროლი.

ამ გარიგების ხელმოწერით, შრედერი, ფაქტობრივად, გახდა კრემლის ინტერესების გამტარებელი ევროპაში. ასეთი მჭიდრო კავშირი მოსკოვთან ძალიან სარფიანი აღმოჩნდა გადამდგარი კანცლერისთვის — მან მიიღო გრძელვადიანი და მომგებიანი შემოთავაზება და, პუტინთან სადილობის გარდა, ეს აძლევს მას ჯიბის კარგად გასქელების საშუალებას.

გაზსადენი „ჩრდილოეთ ნაკადი“ ამუშავდა 2011 წელს, ხოლო „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის გაშენება ექსპლუატაციაში იგეგმება 2020-ში. მთელი ამ დროის მანძილზე გერმანიაში შრედერი ასრულებს პუტინის ერთგული გუშაგის როლს — ის ზღაპრულად აქებს ამ პროექტს, უწოდებს მას განგების საჩუქარს, რომელიც სამუდამოდ ჰპირდება ევროპას ენერგეტიკულ კეთილდღეობას.

თუმცა, ნუ მივანჩქებთ შრედერს მაგიურ ნიჭს — დასავლეთ ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით კი გერმანია, როგორც წესი, ზედმეტად მეოცნებეები ხდებიან, როგორც კი იგრძნობენ რუსული გაზის თუნდაც მსუბუქ სუნს.

1970-1980-იან წლებში დასავლეთ გერმანიის კანცლერი ჰელმუტ შმიდტი ვერ მალავდა აღტაცებას მას შემდეგ, რაც მიიღო ბარტერის შეთავაზება — გერმანული მილბინ რუსული გაზის სანაცვლოდ. დასავლეთ გერმანია ამ კონტრაქტის ფარგლებში აწვდიდა სსრკ-ს მილბინს და იღებდა ამაში მილიარდობით კუბურ მეტრ გაზს.

ამ პროექტის წინააღმდეგ მაშინ აქტიურად გამოდიოდნენ შტატები, თუმცა გერმანიამ გააკეთა ის, რასაც გემავდა. რატომაც არა? ეს ხომ ორმაგად მომგებიანი იყო.

ეს იყო პერიოდი, როდესაც მოქმედებდა ემბარგო არაბულ ნავთობზე და ამ სიტუაციაში მოსკოვი უფრო სანადო პარტნიორი ჩანდა, ვიდრე ოპეკი. თანაც ეს გარიგება მომგებიანი იყო პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ევროპელები მაშინ ამბობდნენ — საბჭოთა კავშირს სჭირდება ვალუტა და ის მიიღებს მას ჩვენგან — მერე უფრო წესიერად მოიქცევა. ეს წარმოდგენა ეფუძნება ბრმა ოპტიმიზმს და არსად არ გამქრალა დღესაც.

ურთიერთდამოკიდებულებამ არ აიძულა კრემლი პოლიტიკა შეერბილებინა და არ შეუშალა ხელი, 80-ანი წლების დასაწყისში ამბოხებულ პოლონეთში ჯარი შეეყვანა. ურთიერთდამოკიდებულებამ არ შეუშალა მოსკოვს ხელი,

ევროპისთვის ბირთვული რაკეტები დაემიზნებინა.

მიამიტი გერმანელებისგან განსხვავებით, კრემლმა ადრეც იცოდა და დღესაც იცის, როგორ უნდა გაყოს ერთმანეთისგან სტრატეგიული ინტერესები და ბიზნესი. „ჩრდილოეთ ნაკადის“ მშენებლობის მიუხედავად, პუტინმა დაიპყრო ყირიმი, გააჩაღა ომი აღმოსავლეთ უკრაინაში და მუდმივად უტევს ნატოს პოზიციებს მთელ ევროპაში.

აი, მოვიდა დღევანდელი გამოცანის დროც. შრედერისგან განსხვავებით, ანგელა მერკელი არაა პუტინის მეგობარი, პირიქით, ის არის რუსეთის წინააღმდეგ უკ-



რაინის და ყირიმის გამო სანქციების დაწესების აქტიური მომხრე. თუმცა, სტრატეგიული სალი გონება ლალატობს მას იქ, სადაც საქმე ეხება „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ს.

ის არ უთმობს დონალდ ტრამპს, რომელმაც, Wall Street Journal-ის ინფორმაციით, უთხრა მას — „ანგელა, შენ უნდა შეწყვიტო გაზის ყიდვა პუტინისგან“...

როგორც ჩანს, ტრამპის სავარაუდო სიმპათია მოსკოვისადმი არ ყოფილა საკმარისად ძლიერი იმისთვის, რომ მას ხელი აეღო ევროპაში ამერიკული ენერგობიზნესის ინტერესების დაცვაზე.

მერკელის არგუმენტები მერყეობს ფართო დიაპაზონში — უწყინარიდან სულელურამდე.

ბრიტანეთის პრემიერის პოსტისთვის ოთხი პოლიტიკოსი იბრძობებს

ტრამპმა მიიღო რეალური სავარაუდო მემკვიდრე დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის ლიდერისა და პრემიერ-მინისტრის პოსტზე ოთხი კანდიდატი იქნება. როგორც გაზეთი Financial Times-ი წერს, ესენი არიან საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ბორის ჯონსონი, Brexit-ის საკითხების ექს-მინისტრი დომინიკ რაბი, საგარეო საქმეთა ას-ლანდელი მინისტრი ჯერემი ჰანტი და გარემოს დაცვის მინისტრი მაიკლ გოუვი.



გამოცემის მტკიცებით, სწორედ გოუვის კანდიდატურას უჭერენ მხარს კონსერვატიული პარტიის ფრაქციის დეპუტა-

„გაზის მოლექვლა რჩება გაზის მოლექვლად, იმის მიუხედავად, მიდის ის უკრაინის გავლით თუ ბალტიის ზღვის ფსკერზე,“ — განაცხადა ერთხელ მერკელმა.

ტექნიკური გაგებით ის, რა თქმა უნდა, მართალია, თუმცა პოლიტიკურად ცდება. პუტინისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომელი მარშრუტით გაივლის მისი გაზის მოლექვლა. უკრაინის გვერდის ავლით მიმავალი მარშრუტები — „ჩრდილოეთ ნაკადი“ და „ჩრდილოეთ ნაკადი-2“ იქნება ძალიან მძლავრი იარაღი კიევის წინააღმდეგ.

„ჩრდილოეთ ნაკადი-2“ იქნება ძალიან აქტიურად გამოყენებული ეკონომიკურ ომში უკრაინისთან და პუტინის თამაშის ამოსაცნობად სულ არაა აუცილებელი იყო გენიალური პოლიტიკოსი ან წინასწარმეტყველი.

მაშ რატომ, ხმელთაშუა ზღვაში არსებული გაზის დიდი მარაგების და გაზის გათხლებლის ახალი ტექნოლოგიების მიუხედავად, გერმანია მაინც მიდის ამ უაღრესად საეჭვო და მიაშიტ გარიგებაზე რუსეთთან?

პასუხი ერთია — პუტინი ყველაფერს უყურებს გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ბერლინში კი პირველ კლანზე აქონომიკაა.

ეს მიდგომა მუშაობს ჯერ კიდევ მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ამერიკა გახდა ევროპის უსაფრთხოების გარანტი. თუმცა, ბოლო წლებში ეს ქოლბა კარგავს მდგრადობას, მოსკოვი კი აღწევს წარმატებას.

ერთიც — ბერლინის ასეთი წინდასუბედაობა დაკავშირებულია გერმანულ პოლიტიკასა და შუაგულ ტრამპის მემკვიდრეობასთან — ტრამპი მუდმივად ახდენს შუამავსაშუაშუას გერმანიას, შომოაქვს სადასაჯალო ტარიფები, ემუშავება გერმანიას სადასაჯალო ინფორმაციის გაცვლის შეწყვეტით, იმ შემთხვევაში, თუ ბერლინი HUAWEI-ს მინდობს ძველანაში 5G სტანდარტის ძალიან შექმნას.

თანაც, ის იმუქრება სანქციებით „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის ამუშავების შემთხვევაში.

რაში გჭირდება მტრები მაშინ, როდესაც გყავს ტრამპისნაირი მეგობრები?

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გაზსადენი აშენდება და მას მოჰყვება აშშ-ის საპასუხო ზომები. მოგებული კი იქნება პუტინი. ის დატკობს მშვენიერი სექტორის და სიამოვნებით უყურებს, როგორ დაეყვინა ერთმანეთს შტატები და მათი ძირითადი მოკავშირეები ევროპაში.

და ეს მაშინ, როდესაც ნატო სულს ღაფავს 70-ე წლისთვის მოლოდინში.

THE WASHINGTON POST

ტეტი. როგორც Financial Times-ი წერს, პრემიერის პოსტისთვის ბრძოლაში, რომელიც მას შემდეგ დაიწყო, რაც 27 მარტს ტერეზა მეი თანაპარტიელებს დაჰპირდა, რომ ევროკავშირთან გასვლის შემდეგ თანამდებობას დატოვებდა, სხვა პოლიტიკოსებში ჩაებმებიან.

სტოლტენბერგს მანდატი ევროკავშირში

იენს სტოლტენბერგს ნატოს გენერალური მდივნის მანდატი 2022 წლის 30 სექტემბრამდე გაუხანგრძლივდა. ინფორმაცია ამის შესახებ ნატოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ნატოს მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი თანამდებობას 2022 წლის 30 სექტემბრამდე დაიკავებს.

„ნატოს მოკავშირეები მხარდაჭერას აცხადებენ გენერალური მდივნის საქმიანობისადმი, რომელიც ალიანსის ადაპტირებისა და მოდერნიზაციისკენ არის მიმართული,“ — აღნიშნულია განცხადებაში.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ იმ 8-პუნქტიანი მოთხოვნების შინაარსს განმარტავს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელი პირობაა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან პორტის მშენებლობის პირველი ფაზისთვის საჭირო თანხის - 400 მილიონ დოლარიანი სესხის მისაღებად.

ლაპარაკია ავტორიტეტულ მსხვილ საფინანსო ინსტიტუტებზე, რომლებსაც, მრავალი წლის განმავლობაში, დიდი წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოს განვითარებაში. ესენია:

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD),
- აშშ-ის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაცია (OPIC),
- აზიის განვითარების ბანკი (ADB),
- აზიის ინფრასტრუქტურის სანინვესტიციო ბანკი (AIIB).

8-პუნქტიანი მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტი არ არის საჯარო. თუმცა 21 მარტს, პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას, მის დეტალებზე ილაპარაკა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა.

„რადიო თავისუფლებამ“ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმიდან“ მიიღო განმარტებები კრედიტორთა მიერ წამოყენებული 8 პუნქტის შესახებ:

1. პორტის განვითარების ფაზებისთვის არ იყოს ვადები დანახაული

სანამ არ დაიფარება პორტის პირველი ფაზის განვითარებისთვის ბანკების მიერ გამოყოფილი სესხები, მანამდე მომდევნო ფაზების განვითარება მოხდეს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, რომელიც დასაბუთებული იქნება შესაბამისი კვლევებით. ინვესტორისთვის არ უნდა იყოს სავალდებულო, ააშენოს მერეო ფაზა თუ არ იქნება ტვირთნაკადი.

2. სახელმწიფო დააზღვიოს ის სხვაობა, რაც დააკლდება კონსორციუმს, რომ ბანკებს გადაუხადოს სესხი გრაფიკის მიხედვით. მთავრობამ ეს თანხა უნდა ასესხოს კონსორციუმს, ხოლო კონსორციუმმა უნდა გადაუხადოს ბანკებს. ბანკების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, კონსორციუმმა უნდა გაისტუმროს ეს სესხი, შემდეგ სუბორდინირებული სესხი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ კონსორციუმის ინვესტორები მოგებას პორტიდან.

3. განსხვავებული კომპანია რეგულირება და გზის მშენებლობის გაჭინავების შემთხვევაში

თუ დაგვიანდა გზისა და რკინიგზის მშენებლობა, პორტი ვერ დაინყებთ ოპერირებას, ინვესტორი ნახავს



ანაკლიის პორტი: გაინს რა ბარანტიებს იტხოვენ მსხვილი ბანკები?

ზარალს, ბანკებს ვერ გადაუხდის სესხს. შესაბამისად, ეს იქნება მთავრობის პასუხისმგებლობა და უნდა აანაზღაუროს ზარალი.

4. კონსორციუმის ვიარ სესხის აღების პროცედურა განსაზღვრული იქნება

აქ საუბარია უფრო ბანკების მიერ სესხის გასხვისებაზე ან კრედიტორის ჩანაცვლებაზე. მთავრობის პოზიციაა, რომ არ უნდა მოხდეს სესხების გადაფორმება ისეთ მხარეზე, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ეროვნული უსაფრთხოების რისკებს. ამას ბანკებიც ეთანხმებიან.

5. სახელმწიფოს ოქროს აქციას დაუნიშნოს განსაზღვრული უფლებები

სახელმწიფოს ოქროს აქციას აქვს ძალიან ფართო უფლებები. ბანკები მოითხოვენ უფლებების გარკვეულ შეკვეცას.

6. სახელმწიფო განსხვავებული კომპანია პოლიტიკური ფორსმაჟოსის შემთხვევაში

დოკუმენტის მიხედვით, პოლიტიკური ფორსმაჟო-

რი არის სახალხო არეულობა, რევოლუცია, ექსპორტი-იმპორტის შეზღუდვა, მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონმდებლობაში, პოლიტიკურად მოტივირებული კიბერშეტევა, ქიმიური და სხვა რადიკალური ინფიცირება.

7. საკანონმდებლო ცვლილებების შემთხვევაში ან კომპანიაში

ამჟამად, საინვესტიციო ხელშეკრულებით, ძალიან ვინროსა საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე კომპენსაცია, რომელიც მთავრობამ უნდა აუნაზღაუროს კონსორციუმს. ეს სია უნდა გაფართოვდეს, რომ ინვესტიცია დაცული იყოს ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებებისგან.

8. BOT კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, 400 მლნ დოლარის სესხი სახელმწიფო დაუაროს

კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობას აქვს უფლება, დაფაროს სესხი და დაეუფლოს პორტის აქტივებს სრულად. ამ შემთხვევაში კონსორციუმის ინვესტორები კარგავენ საკუთარ ინვესტიციებს. მთავრობის წევრების განმარტებით, ყველაზე რთულად შესათანხმებელ საკითხს წარმოადგენს ტვირთბრუნვის რისკების დაზღვევა. თუმცა 21 მარტს, პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა მიუღებლად შეაფასა 8-პუნქტიანი შეთანხმების არაერთი ასპექტი.

მომდევნო შეხვედრა აპრილში იგეგმება და თუკი სახელმწიფოსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის შეთანხმება ვერ შედგება, შესაძლოა, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ პორტის მშენებლობის პროცესს გააჩივოს. სახელმწიფო აცხადებს, რომ მოლაპარაკებების პროცესში აქტიურად მონაწილეობს და დინამიკურად განაგრძობს კონსორციუმთან მოლაპარაკებებს, რომ შეთანხმდება კონსორციუმის იმედოვნებაზე, რომ საერთო ენის გამოხატვა მოხერხდება.

ლელა კუჭულია



რა ელოდება მშენებლო ბიზნესს... ბინების რეალიზაცია კალისან შემსირდა...

ინვესტიციები ამოქმედებულმა რეგულაციებმა ბინების გაყიდვებზე უარყოფითი გავლენა იქონია. შემცირება აშკარა და თვალში საცემია. დედაქალაქის მერია ცდილობს, მდგომარეობა ახალი შეთავაზებით დაარეგულიროს, მაგრამ რამდენად მოახერხებს ამას, ძნელი სათქმელია.

სამშენებლო კომპანია „არსის“ გენერალური დირექტორი თორნიკე აბულაძე ადასტურებს, რომ 1 იანვრიდან ამოქმედებულმა საბანკო რეგულაციებმა ბინების რეალიზაცია 1/3-ით შემცირდა.

„ცხადია, რომ ეროვნული ბანკის რეგულაციები პრობლემას წარმოადგენს, იმიტომ რომ ბაზარზე გაყიდვების მკვეთრი შემცირება ცალსახად შეინიშნება. ზოგ კომპანიაში ეს უფრო ნაკლებად, ზოგში - უფრო მეტად, 30-35%-ის ფარგლებშია შემცირება. ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც

ებრძოდა ბანკებს იმასთან დაკავშირებით, რომ არ შეიძლებოდა, მათ ჰქონოდათ არაპროფილური ბიზნესი. შეიძლება რაღაც დონეზე გამკაცრება საჭიროა, მაგრამ არა - ასეთ დონეზე, იმიტომ რომ ამან გარკვეული პრობლემები გამოიწვია“, - აცხადებს აბულაძე.

„არსის“ გენერალური დირექტორი პრობლემებს ხედავს სამშენებლო ნებართვების გაცემის გართულებასთან დაკავშირებითაც.

„რაც შეეხება სამშენებლო ნებართვების გაცემის გართულებას, ესეც არის პრობლემა. კახა კალაძის პოზიცია არის ის, რომ სჯობს, შეცდომა დაუშვან და მშენებლობის ნებართვა არ გასცენ, ვიდრე მშენებლობის ნებართვა გასცენ და ეს იყოს შეცდომა“, - ამბობს აბულაძე.

თბილისის მერის ინიციატივა კი, რომელიც ავარიული კორპუსებისა და და-

უმთავრებელი სამშენებლო ობიექტების ნაცვლად, უფრო მაღალი შენობა-ნაგებობების აშენების პერსპექტივას იძლევა, შეიძლება ერთგვარი შედეგადად იყოს მშენებლებისთვის, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია კალკულაცია.

დეველოპერული კომპანია „ბინადა-რის“ აღმასრულებელი დირექტორი გოგა ტალახაძე აღნიშნავს, რომ დასათვლიელია, რა ოდენობის თანხა იქნება საჭირო და უსრულებელი მშენებლობისთვის ან ავარიული კორპუსის გასამაგრებლად.

„თუ ეს ხარჯი ბევრად ნაკლები იქნება, ვიდრე K2 კოეფიციენტის შედეგად მიღებული სარგებელი, რა თქმა უნდა, ეს დეველოპერული ბიზნესისთვის მიმზიდველი წინადადება იქნება. ამით თბილისსაც ეშველება, ამდენ დაუსრულებელ და ავარიულ სახლსაც მოეწეება“, - აღნიშნავს ტალახაძე.

დეველოპერული კომპანია „ჯიდიჯი ჯგუფის“ დამფუძნებელი ბეჟან ნაქაძე განმარტავს, რომ თბილისის მერიის მიერ შეთავაზებული იდეა კარგია და თეორიულად, განსახორციელებელია. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა ადგილზეა ობიექტი.

„ასე ადვილად არ არის საქმე, დაუსრულებელ მშენებლობებში ათასი ვალდებულებებია, დასათვლიელია, რა რესურსი აქვს დარჩენილი ობიექტს და რა ბენეფიტებს მიიღებს ბიზნესი. თუ ეს დევე-

ლოპერისთვის მიმზიდველი იქნება, შევა, თუ არა, მაშინ სახელმწიფოს თავად მოუნებს დაუსრულებელი კორპუსების დასრულება“, - აცხადებს „კომერსანტთან“ ნაქაძე.

მისი განცხადებით, დღეს თბილისში ბევრი ისეთი დაუსრულებელი შენობაა, რომელსაც რესურსი ამონურული აქვს. ამიტომ, ძნელი სათქმელია, რამდენით უნდა მოემართოს კოეფიციენტი, რომ მშენებელმა ის ამონურული რესურსი გადაფაროს და მოგებაც დარჩეს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დაუსრულებელი მშენებლობების რაოდენობა მომავალში გაიზარდება, რადგან დღეს ერთი მიმართულებით კეთდება რეგულაციები და მთავარი მიმართულება, რის გამოც ჩერდება ესა თუ ის ობიექტი, ისევე მოუგვარებელია. მთავარი მიზეზი ფინანსური უზრუნველყოფაა. საზღვარგარეთ არც ერთ ობიექტზე მშენებლობის ნებართვა არ გაიცემა, თუ კომპანია არ მოიტანა ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტი. მან გარკვეული თანხა უნდა დაადასტუროს დეპოზიტზე და მოხდეს მისი მონიტორინგი, ან წარმოადგინოს მყარი საბანკო გარანტია იმის დასადასტურებლად, რომ მასზე გამოყოფილია საკრედიტო ხაზი და ბანკი აფინანსებს. საქართველოში კი მსგავსი არაფერი ხდება.

გიგა დანელია

რაგბი ჩვენი თაბაშია!

მეტირანი „ბორჯღალოსანი“, დავით კილასონიას სახელობის ეროვნული აკადემიისა და თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი სიმონ მაისურაძე სამუშაოდ ირლანდიის რაგბის აკადემიაში მიიწვიეს.

ირლანდიის რაგბის აკადემია კერძო აკადემიაა და ის დუბლინიდან ნახევარი საათის სავალზე, ქალაქ ნაისში სამხრეთ აფრიკელმა სპეციალისტებმა გახსნეს. დირექტორი დენ ვან ზილია, რომელსაც ზერაგბსა და ირლანდიაში უმაღლეს დონეზე, ასევე სამხრეთ აფრიკის ნაკრებში უთანამშაოა. მისი დამხმარე, კო-დირექტორი მისი თანამემამულე იოან ტვილორია, რომელსაც ასევე ზერაგბსა და ირლანდიაში უთანამშაოა.

ვან ზილი მოთანამშაო კარიერის დასრულების შემდეგ ირლანდიაში დარჩა და 12 წლის განმავლობაში „ლენსთერის“ აკადემიების ხელმძღვანელი იყო. მას მწვრთნელის უმაღლესი, მეოთხე დონის დიპლომი აქვს და „ლენსთერში“ დაგროვილი გამოცდილების ფონზე ერთი წლის წინათ ირლანდიაში კერძო აკადემია გახსნა. პარალელურად, ის ირლანდიის შიდა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდ „ნაისის“ მთავარი მწვრთნელია.

მეოთხე დონის მწვრთნელის ლიცენზია აქვს ტვილორსაც, რომელიც „ნაისში“ ვან ზილის დამხმარეა და პარალელურად შრი ლანკის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

სიმონ მაისურაძე ირლანდიის აკადემიაში ვან ზილის მიწვევით მოხვდა, ოღონდ ამ მიწვევის მიზანი თავიდანვე შერკინების მწვრთნელის პოვნა სულაც არ ყოფილა: „ვან ზილი საქართველოს რაგბის კავშირს, კერძოდ, მისი მალაქის მიღწევების დირექტორი ბაჩო ხურციძის დაუკავშირდა. მას ახსოვდა, რომ საქართველოდან სამხრეთ აფრიკის აკადემიაში ახალგაზრდა, ნიჭიერ მორაგებებს აგზავნიდა და

შემოგვთავაზა, ჩვენი თვალთგვენას ირლანდიის რაგბის აკადემია და იქაური პირობები“, – გვიყვება მაისურაძე და აგრძელებს: „ნაისში მე მომიწია ჩასვლა და როდესაც გაიგეს, რომ მწვრთნელობის ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება და მესამე დონის ლიცენზია მქონდა, მთხოვეს, ირლანდიის აკადემიის ბავშვებისთვის შერკინების ვარ-



სიმონ მაისურაძე: ირლანდიაში - აფრიკელბთან

ჯიში ჩამეტარებინა. მათ ჩემი ვარჯიშები მოეწონათ და კლუბ „ნაისშიც“ მიმიწვიეს, სადაც ორი ვარჯიში ჩავატარე. ამის შემდეგ მათ მთხოვეს, რომ თუ შესაძლებელი იყო, პერიოდულად ირლანდიაში ჩავსულიყავი და როგორც აკადემიაში, ასევე კლუბში შერკინების ვარჯიშები ჩამეტარებინა, რაზეც თანხმობა მივეცი. ჩემთვის ეს სამუშაო საინტერესოა, რადგან ირლანდიელებისა და სამხრეთაფრიკელებისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, რასაც მევე საქართველოში გამოვიყენებ“.

პირველი სტუმრობიდან სიმონ მაისურაძემ არაერთი საინტერესო დეტალი აღმოაჩინა, რის დანერგვასაც ქართულ რაგბიში ისურვებდა:

„ირლანდიაში რაგბის უდიდესი ტრადიცია აქვს და ამ ქვეყნის სარაგბო კულტურიდან ბევრი კარგი დეტალის გადმოღება შეიძლება. ერთ ასეთ საინტერესო დეტალს წავაწყვი: „ნაისისა“ და „მელონის“ შესვენების შემდეგ, რომელიც საკმაოდ დაძაბულად წარიმართა და 22:20 დასრულდა, „მესამე ტაიმზე“ ორივე გუნდის მოთანამშაოებთან და მწვრ-

თნელებთან ერთად მსაჯებიც იყოფებოდნენ. საკმაოდ მეგობრული ატმოსფერო იყო და არბიტრთა მიმართ უდიდესი პატივისცემა იგრძნობოდა. მათ მორაგებებთან ერთად მოიხსინეს, გაიარეს თამაშის დეტალები და მეგობრული საუბარი ჰქონდათ. ის, რომ დღეს საერთაშორისო დონეზე ქართველი მსაჯები ადგილს იკვიდრებენ და წინ მიიწვიენ, დიდწილად ირლანდიელთა დამსახურებაა, რადგან ჩვენს მსაჯებს თავის დროზე სწორედ მათ გაუწოდეს დახმარების ხელი, დირსეული წვლილი შეიტანეს მათ განვითარებაში და კარგი იქნება, თუ მსაჯების მიმართ პატივისცემასაც ირლანდიელებივით ვისწავლით“.

ვან ზილისა და ტვილორის გახსნილი აკადემია სუთვარსკვლავიანი სასტუმრო „კილაისის“ ტერიტორიაზეა, სადაც ახალგაზრდებს სარაგბო უნარების დასახვეწად, ასევე ინგლისურ ენის შესასწავლად საუკეთესო პირობები აქვთ.

სამხრეთ აფრიკელი სპეციალისტების გარდა, სიმონ მაისურაძის მსგავსად, იქ რამდენიმე ცნობილი სპეციალისტი მუშა-

ობს: ფრანგი ფილიპ სენტ-ანდრე, რომლის ანგარიშზე ეროვნულ ნაკრებში მოხვეჭილი 69 კეპია, მწვრთნელად კი საკლუბო დონეზე „გლოსთერში“, „სენილ შარქსში“ და „ტულონში“, ხოლო საერთაშორისო დონეზე საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში უმუშავია; ჩილეს ნაკრების მწვრთნელი სებასტიან ბერტი; ჯონ მერფი; 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბობი სკინსტაიდი; ირლანდიის ნაკრების ყოფილი მორაგბე მაიკლ როსი; საერთაშორისო დონის მსაჯები. ამავე აკადემიაში მოღვაწეობს კიდევ ერთი ქართველი ნიკა აბდალაძე, რომელიც წლებია ირლანდიაში დამკვიდრდა.

აკადემია თანამშრომლობს მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ სასუვეტესო ფიზმომზადების ცენტრ „სტეპანტასთან“, რომელიც ნაისიდან 40 წუთის სავალზე, ქალაქ ლიმერიკშია. იქ მოთანამშაოებს სამ თვეში ერთხელ ტესტები უტარდებათ და იმის მიხედვით აფასებენ საკუთარ პროგრესს. პროექტის თანახმად, სამომავლოდ ირლანდიის რაგბის აკადემია ფიზმომზადების სპეციალისტთა გადამზადებასაც გეგმავს.

სასტუმროს ტერიტორიაზე განთავსებულია ბუნებრივ და ხელოვნურსაფარიანი მოედნები, აუზი, სატრენაჟორო დარბაზი, მოსასვენებელი ოთახი, სასადილო და ა.შ.

ირლანდიის რაგბის აკადემიის უცხოელი მორაგებები, პარალელურად, „ნაისის“ შესაბამისი ასაკის გუნდში ითანამშაობენ. ყოველი მატჩის შემდეგ მათ ჩაუტარდებათ ინდივიდუალური ვიდეოანალიზი და ისინი აკადემიაში სწავლების პერიოდში არა მხოლოდ სარაგბო უნარებს დახვეწენ, არამედ სრულფასოვნად შეისწავლიან თამაშს, რაც მათ მომავალში მწვრთნელობასა თუ მსაჯობაში დაეხმარება.

კობა კობახიძე

პრემიერლიგა

უკვე - სრულად

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი ოლე გუნარ სულშერი კლუბთან სრულფასოვანი, სამწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მესამე ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპეციალისტი გახდა პრემიერლიგაში.

The Sun-ის ინფორმაციით, ნორვეგიელის წლიური ჯამაგირი 8,7 მილიონ ევროს შეადგენს და პრემიერლიგაში. მასზე მეტი მხოლოდ „მანჩესტერ სიტის“ დამრიგებელ ხოსეპ გვარდიოლასა (17,5 მილიონი ევრო) და „ტოტენჰემის“ თავკაც მაურიციო პოჩეტინოს (10 მილიონი) აქვთ. ცოტა ნაკლებს გამოიმუშავებენ „ლივერპულის“ იურგენ კლოპი (8,2), „არსენალის“ უნაი ემერი (7) და „ჩელსის“ მაურიციო სარი (6).

შეზავსენებში, რომ „იუნაიტედში“ „ვიკინგის“ წინამორბედ ფოზე მოურინიუს ანაზღაურება წელიწადში 17, 5 მილიონ ევროს შეადგენდა.

გიორგი შოთაძე

წვა

მინუს 20-იანი

ბუმინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რვა შესვენდრა გაიმართა.

„სან ანტონიომ“ შინ „კლიგლენდი“ 116:110 დაამარცხა. მატჩის დაწყებამდე გამართულ ცერემონიაზე. მასპინძლებმა ხმარებიდან ამოიღეს მანუჯი-ნობილის 20-ნომრიანი მაისური, რომელიც ამ კლუბთან ერთად ნბა-ს 4-გზის ჩემპიონი გახდა (2003, 2005, 2007, 2014).

ვიტალი ჯაფარიძე

64



მსოფლიოს XI ჩემპიონი (1972-75) რობერტ ბობი ჯეიმს ფიშერი (1943-2008) 14 წლისა ქაბუტა შორის ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი გახდა.

1958 წლიდან საერთაშორისო დიდოსტატია, ხოლო მოგვიანებით – „ოსკარის“ პრიზის მფლობელი (1970-72). მან მსოფლიო პირველობის პრედენდენტთა მატჩებში დიდი ანგარიშით დაამარცხა მარკ ტაიმახოვი, ბენტ ლარსენი და ტიგრან პეტროსიანი (6:0, 6:0, 6,5:2,5). „ჭადრაკის ფანატიკოსი“ – ასე მოიხსენიებენ ფიშერს თანამედროვეებმა.

საბჭოთა დიდოსტატობიდან იგი განსაკუთრებულ პატივს სცემდა მიხეილ ტალს. რიგელი „ჯადოქარი“ თვლიდა, რომ „ფიშერი ჭადრაკის ფილოსოფოსია“. ამას ყოველთვის ვგარტყობდი, მაგრამ ჰავანაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისას საბოლოოდ დავრწმუნდი და ამის დასტუ-

არასპრობნოზირებადი, ჭირვეული ბობი

რად, აი, რა გაიხსენა: ბრმა შემთხვევის მსხვერპლი კინალამ გავხდი კაფეში ცეკვის დროს და ტვინის შერყევის დიაგნოზით. ბედად გადარჩენილი საავადმყოფოში მომათავსეს... მე-7-ე სართულზე ვარ, ვნევიარ სანოლში გაუნძრევლად, მნახველებს აკრძალული აქვთ ჩემთან შემოსვლა, შევყურებ ცას და უეცრად ვხედავ ჩემს სარკმელთან კოშკურა ამწის კალათას, რომელშიც ბობი ფიშერი დგას, მესალმება და ხანმოკლე საუბრის შემდეგ ფიგურებს ალაგებს და ფაზე, რომელიც თან წამოუღია...

საგულისხმოა აგრეთვე მსოფლიოს სუთგზის ჩემპიონის, ლეგენდარული მიხეილ ბოტვინიკის აზრი ფიშერის შესახებ. 1981 წელს მე და ჩემ ძმას გურამ შენგელიას ბედნიერება გვქონდა ახლოს გავცნობოდით მიხეილ ბოტვინიკს. ქობულეთში, სანატორიუმ „ივერიაში“ ვცხოვრობდით ბ-ნი მიხეილის მეზობლად და თითქმის ერთ თვეზე მეტხანს საუზმისწინა ერთსაათიან გასეირნებებში თანამგზავრებად ვახლდით.

– ბობის ფსიქიკური გადახრები თუ აქვს? – კითხვა შევბედე ბ-ნი მიხეილს, რადგან იმდროინდელ პრესაში ბევრი რამ იწერებოდა მისი ჭირვეული ხასიათის შესახებ, მე კი მიხდოდა, რომ ჩემი კერპი ყოველმხრივ უნაკლო ყოფილიყო.

– რა თქმა უნდა, აქვს, გარემო ბევრ რამეზე მოქმედებს. – მაგრამ ჩემთვის ურთულესი საჭადრაკო ეტიუდით ამოუხსნელი იყო, რომელ გარემოს გულისხმობდა – ცხოვრების ამერიკულ

წესს თუ რუს მოჭადრაკეებთან შეჯიბრებისას შექმნილ სპორტის უმწვეველ პოლიტიზაციას.

ძალაუფებურად გამახსენდა ფიშერის ცნობილი გამონათქვამი „უმამოდ დარჩენილი ბავშვები მგლებად იზრდებიან“. იგი დედისა და უფროსი დის, რომელმაც ასწავლა ჭადრაკის თამაში, გარემოცვაში იზრდებოდა. დედას – რეგინა ვანდერს (ქალიშვილობის გვარია) მბრძანებლური ხასიათი ჰქონდა – „ბობი, ფეხსაცმელი ისევ დაგიხვევია! ახალ ფეხსაცმლის საყიდელი ზედმეტი დოლარები წამდვილად არ გვაქვს!“ – ამბობდა ნერვიული და ბრაზით აღსავსე

დედამისი.

ეტყობა, ბავშვობისდროინდელმა სიღუფეებმა თავისი დალი დაამჩნია ექსტრაკლასის მოჭადრაკის ჭირვეულ ხასიათს. იქნებ, სწორედ მის გარემოცველ სამყაროს არ ესმოდა და არ ესმის იმ გენიოსის უცნაურობებისა, რომელმაც თავისი ტალანტით და შესაძლებლობებით წინ გაუსწრო თავის ეპოქას? (თ. შ.).


საჭადრაკო სამყარო გააოგნა ჩემპიონის მოულოდნელმა გადამწყვეტილებამ. იგი ბრწყინვალე შედეგით ავიდა საჭადრაკო ოლიმპზე და გაურკვეველი მიზეზით გაუჩინარდა.

აკრებენდებთა ფინალური მატიჩის მე-7 პარტია

რ. ფიშერი – ტ. პეტროსიანი 1970 წ.

თეთრები იხვევენ

12. ლა4+! 13. ე1! 14. ლ4 15. ე3 16. ლ5! 17. ე4 18. ხ4! 19. ე5 20. ე4 21. ე5 აძ 22. ე:ძ7! 23. ე1 ე6



24. ე4 აძ 25. ე2 ე6 26. ე3 ე5 27. ე4 ხ4 28. ე3 ე5 29. ე3 ე4 30. ე4 ე6 31. ე4 ე5 32. ე4 ე6 33. ე6 ე4 34. ე4! 1:0

შენიშვნა: შავები დანებდნენ, რამეთუ თეთრებმა ეტლების ტანდემით სრულად გააკონტროლეს მე-7-ე პორიზონტალი, რომლის მეშვეობითაც მოგება ყველა ვარიანტში გადაუვალა.

მთაბაშა თამაზ შენგელია

დღესასწაული

ჯვრის თაყვანისცემა

დიდმარხვის მესამე კვირიაკე



31 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულებს ჯვრის თაყვანისცემას.

დიდმარხვის მესამე კვირიაკეს ხდება პატიოსანი ჯვრის საკურთხეველიდან მლოცველთა წინაშე გამობრძანება. მრევლი თაყვანს სცემს მინდვრის ყვავილებით შემკულ ჯვარს, ეამბორება მას. ამ დროს იგალობება: „ჯვარსა შენსა თაყვანის ვცემთ მეუფეო და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ“.

აღსანიშნავია ის, რომ ამ წესით წმინდა ეკლესია შეგვავაგონებს, ჩვენ ხილულად ვხედავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინების, მღვდნობის, მხნეობისა და კეთილ საქმეთა კეთების ნიშანს, მარხვით დაუღლულობის სიმბოლოს.

მაცხოვარმა ხომ ცოდვას, სიკვდილს და ჯოჯოხეთს ჯვრით სძლია! საგულისხმოა ისიც, რომ შუა მარხვაში ჯვრის თაყვანისცემა დადებულია იმისთვის, რომ მმარხველი მორწმუნეი განამტკიცოს სულიერად: მათ განამტკიცებს გახსენება უფლის ნებსითი ვნებისა, რომელიც მან თავს იღო კაცთა ცხოვნებისთვის. როგორც უფალი აღდგა მკვდრებით და ზეცად ამალდა, მორწმუნენიც სასობენ, რომ თავიანთი სულიერი ღაწლისა და ქრისტიანული ჯვრის ტვირთის სანაცვლოდ უფალი მათაც აღადგენს მკვდრებით და აღამალლებს ზეცად.

ჯვრის თაყვანისცემა აღნიშნული კვირიაკის შემდეგ კიდევ რამდენიმე დღეს გრძელდება, კერძოდ, თაყვანისცემის წესი სრულდება ორშაბათსა და ოთხშაბათს – ჟამნზე, და პარასკევს – ჟამნობის დასასრულს.

გიული ლიპარტია

სსიპ - უპრეზიდენტო თაყაიის მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ახსნაღებს კონკურსს უმეღაბი თანამდებობების დასაქმებლად

- 1. მთავარი ენერგეტიკოსი - 1 ერთეული (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი)
2. დამლაგებელი - 1 ერთეული (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

- 1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მთავარი ენერგეტიკოსის თანამდებობისათვის)

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოება სსიპ-უპრეზიდენტო თაყაიის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2019 წლის 12 აპრილიდან 16 აპრილის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

„ისნავლე პარკირება“!

თბილისში არასწორად დაპარკინგებული ავტომობილი ნავლით სავეტ პარკებით „მორთეს“ – ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელში ფოტოსთან ერთად გავრცელდა.



რა თქვა ირანელმა რეპერმა სინამდვილეში და ვის აწყობს ანტიირანული გამოსვლები

ირანელი რეპერის ამირ თათალუს 24 მარტს თბილისში გამართულ კონცერტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვენბათაღელვის მიზეზი გახდა სოციალურ ქსელში გავრცელებული კონცერტის ჩანაწერი, სადაც ირანელი რეპერი თითქოს ქართველებს შეურაცხყოფას აყენებს. ვიდეოს ადევს ტიტრები „მარისუანის მოწვევა თუ მომინდება, კანონით მეტყობა? და რომ მოვწიო, ქართველებმა რა ...ლე უნდა მომჭამონ?“.

